
ჰაინრიხ ბიოლის ფონდში
2009 წლის 4 მარტს გამართული საჯარო
დისკუსია თემაზე:
„პოლიტიკური ალტერნატივა: რეფერენდუმის
სტრატეგია?“

ძირითადი მომხსენებლები:
გია ნოდია, პოლიტოლოგი
დავით უსუფაშვილი, რესპუბლიკური პარტიის
თავმჯდომარე

მოდერატორი: გოგი გვანასია

გოგი გვახარია – მოგესალმებით. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში განახლდა დისკუსიები. დღეს ძალიან საინტერესო სტუმრებთან ერთად ძალიან მნიშვნელოვან თემაზე ვისაუბრებთ. დღევანდელ დისკუსიაში, გვსურდა, ხელისუფლების წარმომადგენლებსაც მიეღოთ მონაწილეობა, თუმცა, ვისაც ვთხოვეთ, ყველამ უარი გვითხრა. გაგახსენებთ, ჩვენი დღევანდელი შეხვედრის თემაა „პოლიტიკური ალტერნატივა: რეფერენდუმის სტრატეგია?“ ამ თემაზე სასაუბროდ პოლიტოლოგი ვია ნოლია და „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი მოვიწვიეთ.

სიტყვას ბ-ნ ვიას გადავცემ.

ვია ნოლია – დღეს ოპოზიციაში სამი სტრატეგია იკვეთება – ზომიერი ანუ საპარლამენტო ოპოზიცია, რომელსაც ოპოზიციის სხვა წარმომადგენლები ხშირად ოპოზიციად არც მიიჩნევენ, თუმცა იგი არსებობს და ისე იქცევა, როგორც უნდა იქცეოდეს ჩვეულებრივი საპარლამენტო ოპოზიცია, ხან აკრიტიკებს ხელისუფლებას, ხან ეთანხმება მას და ემზადება შემდეგი არჩევნებისთვის.

არის რადიკალური ოპოზიცია, რომელიც ხელისუფლებას ბოროტების გამოხატულებად მოიაზრებს და ფიქრობს, რომ ასეთ ვითარებაში ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცედურებით მოქმედება არ შეიძლება. ამიტომაც ის რევოლუციურ გზას ადგას და ამ გზით ცდილობს აიძულოს ხელისუფლება, წავიდეს. იძულების მექანიზმია რაც შეიძლება მეტი ხალხის გამოყვანა რუსთაველზე.

არის მესამე, შუალედური ოპოზიცია, რომელსაც ვუწოდებდი რადიკალებს ზომიერებს შორის და ზომიერებს რადიკალებს შორის, რომლებიც როგორც ხელისუფლების შეფასებით, ისე მოთხოვნებით, რადიკალური ოპოზიციის შეხედულებებს იზიარებენ, ანუ მიიჩნევენ, რომ ხელისუფლება აუცილებლად უნდა გადადგეს, მაგრამ თავად ეს მოთხოვნა სხვაგვარად აქვთ შეფუთული. იმის ნაცვლად, რომ პირდაპირ მოითხოვონ ხელისუფლების გადადგომა, ამბობენ, რომ ჯერ რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს. პირადად ჩემთვის, პირველი ორი სტრატეგია უფრო გასაგებია, რადგან ისინი უფრო თანმიმდევრულია. მესამე სტრატეგია კი, საშუალოს პოვნის მცდელობაა, თუმცა ეს შუალედურობა არათანმიმდევრულია. ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ მისი არსი იმაში მდგომარეობს, პრეზიდენტს ის გააკეთებინო, რისი გაკეთებაც მას არ სურს და რისი გაკეთების ვალდებულებაც მას არ აქვს, ანუ იძულებაზეა აგებული და ასეთ დროს რეფერენდუმის საჭიროება გაუგებარია. რატომ არის რეფერენდუმის ჩატარება აუცილებელი, ამის შესახებ, ალბათ ბ-ნი დავითი გვესაუბრება, ცხადია, მათ აქვთ თავიანთი არგუმენტები. მე, როგორც ანალიტიკოსი, შევეცდები ამ სტრატეგიის გაანალიზებას.

ჩემი აზრით, ასეთი გაორებული გამოწვეულია იმით, რომ ამ ოპოზიციას ჰყავს ორი მრევლი, ორი ბატონი. ერთია დასავლეთი, მეორე – ქართული საზოგადოება. ბ-ნი ირაკლი ალასანიას გუნდში არიან დიპლომატები, რომლებმაც ბოლო წლები დასავლეთში გაატარეს და ჩემი აზრით, საქართველოს რეალობას იქაური პოლიტიკური კონიუნქტურის თვალთვალს აფასებენ. ისინი ამოდიან იქიდან, რომ 2007 წლის ნოემბრისა და აგვისტოს ომის შემდეგ დასავლეთში პრეზიდენტ სააკაშვილისა და ამ ხელისუფლების მხარდაჭერა საგრძნობლად შემცირდა და რაღაც წრეებში გაჩნდა დასავლეთისთვის უფრო კომფორტული და მისაღები ლიდერის მოსვლის სურვილი. მათი გააქტიურება და პოლიტიკაში გადასვლაც ამ შესაძლებლობის გამოყენებით იყო განპირობებული. მაგრამ რადგან დიპლომატები არიან და კარგად იციან დასავლური განწყობები, ისიც იციან, თუ რამდენად დაბალია იქაური პოლიტიკოსებისა თუ ექსპერტების წარმოდგენა აქაურ ოპოზიციაზე, ოპოზიციაზე, რომელიც გვეყავდა თუნდაც შარშან, ნოემბრიდან მაისამდე. მათ იციან, რომ ასეთ ოპოზიციას დასავლეთი მხარს არ დაუჭერს. მათ ასევე იციან, რომ არსებობს მოთხოვნა უფრო რესპექტაბელურ და ცივილურ ოპოზიციაზე, რომელსაც შესაძლოა დასავლეთმა მხარი დაუჭიროს. ამიტომ

ახლადშექმნილი ოპოზიცია დისტანცირებული უნდა ყოფილიყო ძველისგან, ან ძველი ოპოზიციიდან იმ ძალებს დაკავშირებოდა, რომლებსაც ჰქონდათ რესპექტაბელურობა დასავლეთის თვალში. მეორე მხრივ, ამ ოპოზიციამ საქართველოში უნდა იმოქმედოს, უნდა ჩაეწეროს მის ოპოზიციურ სტრუქტურაში და ისე უნდა მოიქცეს, რომ აქაც აღიარონ ოპოზიციად. მაგრამ ქმედებების ის წესი, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ დასავლეთმა გაღიაროს რესპექტაბელურ ოპოზიციად და ქმედების წესი, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ საქართველოშიც გაღიარონ ოპოზიციად, ერთმანეთს ეწინააღმდეგება. საქართველოში გაბატონებულია რადიკალიზმის კულტურა და უნდა დაამტკიცო, რომ არავის ჩამორჩები რადიკალიზმში. ეს წინააღმდეგობა ძალიან რთული დასაძლევია. რაც უფრო ჩაერთვები ქართულ პოლიტიკურ ოპოზიციურ სინამდვილეში, ნაკლებად მისაღები ხდები დასავლეთისთვის, და პირიქით, რაც უფრო მისაღები ხარ დასავლეთისთვის, მით უფრო გიჭირს საქართველოში აუხსნა ვინმეს შენი სტრატეგია. ამიტომ ვიღებთ იმ შუალედურ პოზიციას, რომელზეც წელან ვსაუბრობდი.

რამდენად გამართლებულია პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა. რა თქმა უნდა, ყველას აქვს უფლება, მოსთხოვოს პრეზიდენტს გადადგომა, მაგრამ პრეზიდენტს ასევე აქვს უფლება, უგულებელყოს ეს მოთხოვნა და განაგრძოს თავისი საქმიანობა. ის არჩეულია ხუთი წლით, მოსწონს თავისი სამსახური, გულწრფელად მიაჩნია, რომ ყველაზე კარგად ასრულებს თავის მოვალეობას და თანამდებობისთვის გათვალისწინებულ ფუნქციებს, დარწმუნებულია, რომ კანონიერად აქვს მინიჭებული ეს თანამდებობა და ჰყავს მხარდამჭერები. ასე რომ ის გადადგომისთვის საფუძველს ვერ ხედავს. ამიტომ უნდა აიძულო გადადგომისკენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ამაზე აგებ პოლიტიკურ სტრატეგიას და შენი პოლიტიკური იდენტობა განისაზღვრება იმით, რომ ხარ პარტია, რომელიც აიძულებს პრეზიდენტს გადადგომისკენ. ამდენად, გაღიზარ კონსტიტუციური მოქმედების ფარგლებიდან, იმიტომ რომ ამ მოთხოვნას არ აქვს კონსტიტუციური საფუძველი. გარდა იმისა, რომ არ მოგწონს, პრეზიდენტის გადადგომისთვის სხვა არგუმენტებს არ ფლობ.

არსებობს პრეცედენტები, პირველ რიგში, 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“, როდესაც მიტინგებით წავიდა პრეზიდენტი, მაგრამ დღევანდელ შემთხვევაში ეს პრეცედენტი ნაკლებად გამოდგება და გაცილებით უფრო ახლოს ვართ 91-92 წლების პრეცედენტთან, როდესაც წინა პრეზიდენტი გადააყენეს. საამისოდ ორი არგუმენტი გვაქვს. პირველი ის, რომ „ვარდების რევოლუცია“ ელექტორალური, მინიმალურად რევოლუციური რევოლუცია იყო, სადაც ოპოზიცია ჯერ ელექტორალურ წარმატებას აღწევდა და ჰქონდა ამ წარმატების მიღწევის საბუთი ეგზიტპოლებისა და ხმების პარალელური დათვლის სახით, ჰქონდა მყარი საბუთი, რომ გაიმარჯვა არჩევნებში. ეს სახალხო გამოსვლა უკვე მოპოვებული გამარჯვების შენარჩუნების საშუალება იყო. იგულისხმებოდა, რომ ხელისუფლებამ დაარღვია კონსტიტუცია და ხალხი მას მისი დაცვისკენ მოუწოდებდა. დღევანდელ შემთხვევაში ვითარება განსხვავებულია. ოპოზიციას შეიძლება აქვს პრეტენზია, რომ არჩევნები შარშან იანვარში და მაისში ისე არ ჩატარდა, როგორც უნდა ჩატარებულიყო, შესაძლოა, ეს პრეტენზია მართლაც იყოს კამათის საგანი, მაგრამ არავის, ოპოზიციის გარდა არ უთქვამს, რომ ხელისუფლებამ წააგო არჩევნებში და ოპოზიციამ გაიმარჯვა. გარდა ამისა, ამ არჩევნების შემდეგ უკვე დიდი დრო გავიდა და ის ისტორიის კუთვნილებად შეიძლება ჩაითვალოს.

მეორე არსებითი განსხვავება, უფრო სოციალურ-პოლიტიკური, ვიდრე სამართლებრივი, იმაში მდგომარეობს, რომ 2003 წლის ნოემბერში ძველ რეჟიმს საზოგადოებაში სერიოზული მხარდაჭერა აღარ ჰქონია, ამიტომ ამ რევოლუციას საზოგადოების გათიშვა არ გამოუწვევია. საზოგადოების უდიდესმა უმრავლესობამ მიიღო ეს რევოლუცია. დღეს არსებობს საზოგადოების დიდი ნაწილი, რომელიც დასანახად ვერ იტანს ხელისუფლებას და არის საზოგადოების ასევე დიდი ნაწილი, რომელიც ხელისუფლების მხარდამჭერია და მისთვის

აბსოლუტურად მიუღებელია ოპოზიცია. ამიტომ ძალისმიერი მეთოდებით ხელისუფლების გადაყენების ცდა, პრაქტიკულად, სამოქალაქო ომის სიტუაციას ქმნის.

რამდენად უკეთესი იყო რეფერენდუმის მოთხოვნა პრეზიდენტის პირდაპირ გადადგომის მოთხოვნასთან შედარებით. სამართლებრივი თვალსაზრისით, ჩემი აზრით, ეს მოთხოვნა უარესია. ორივე შემთხვევაში, პრეზიდენტის გადადგომისკენ იძულება ეწინააღმდეგება კონსტიტუციონალიზმის ლოგიკას. რა თქმა უნდა, ორივე შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ პირდაპირ დემოკრატიაზე, მაგრამ თანამედროვე დემოკრატია კონსტიტუციური და წარმომადგენლობითი დემოკრატიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხალხი, დემოსი, როგორც სუვერენი, შეზღუდულია კონსტიტუციით. ანუ, თუ ხალხმა აირჩია პრეზიდენტი ან პარლამენტი ხუთი წლით, უნდა მოითმინოს და ამართვინოს თავი ამ წლების განმავლობაში. იმისთვის არსებობს კონსტიტუციაში ვადები, რომ ისინი შესრულდეს. იმის პრეცედენტის დაშვება, რომ ერთ ან ორ წელიწადში ხალხმა გადაიფიქრა და კარგი იქნება რეფერენდუმის ჩატარება, ამ მოთხოვნის ფსევდორესპექტაბელურობა ცუდ პრეცედენტს ქმნის და ეწინააღმდეგება კონსტიტუციონალიზმის ლოგიკას და სულს. პრეზიდენტი ბუში ძალიან არაპოპულარული იყო მისი პრეზიდენტობის ბოლო წლებში. ამ არაპოპულარობის ძირითადი მიზეზი იყო ომი, რომელსაც ის ცუდად აწარმოებდა. იქაურ მეგობრებს უთქვამთ ჩემთვის, რომ რცხვენიათ, რომ ბუშია მათი პრეზიდენტი და გაუსაძლისად მიაჩნდათ ასეთ ქვეყანაში ცხოვრება, მაგრამ არავის მოსვლია აზრად რეფერენდუმის ჩატარება და პრეზიდენტის გადაყენება.

და ბოლოს, რამდენად რეალური იყო რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნა. ცხადია, წინასწარ არასოდეს ვიცით, რა გამოვა და რა არა. ამ თვალსაზრისით, ოპოზიციისთვის პრეზიდენტის გადადგომა ნოემბერში პოპულარული პრეცედენტი და მიიჩნევა, რომ ეს ახლაც შეიძლება მოხდეს. მაგრამ აქ ორი მომენტია გასათვალისწინებელი. პირველი ის, რომ მას მაშინ მეორე ვადით არჩევის პერსპექტივა ელოდა და გარკვეულწილად, მხოლოდ ერთი წელი დათმო, ახლა გადადგომა კი მისთვის პოლიტიკური კარიერის დათმობისა და დამარცხების ტოლფასია. მეორე ის არის, რომ ჩემი აზრით, შემიძლია ეს როგორც ხელისუფლების ყოფილმა წარმომადგენელმაც ვთქვა, ნოემბრის შემდეგ ხელისუფლებამ ჭკუა ისწავლა. მაშინ ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ იმდენად ძლიერი იყო, უფლება ჰქონდა გაეკეთებინა ის, რისი გაკეთებაც სწორად მიაჩნდა, მიუხედავად იმისა, მოეწონებოდა ეს ხალხს თუ არა და იფიქრა, რომ არჩევნების მოახლოებისთვის, რაც 2008 წლის შემოდგომისთვის იყო დაგეგმილი, გამოსწორდებოდა და ეს საკმარისი იქნებოდა ყველაფრის შემობრუნებისთვის. ახლა შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლება მეორე უკიდურესობაშია და შესაძლოა, საერთოდ მოერიდოს არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმას. ასე რომ, ამ თვალსაზრისით, ის იოლად არ გაიმეორებს ძველ შეცდომებს.

ჩემთვის უცნობია, ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოება რამდენად არის მომართული რევოლუციისკენ, ერთი შეხედვით, ეს მაინცდამაინც არ ჩანს. სამწუხაროდ, ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც ადამიანები, რომლებიც ანალიტიკოსებად მიიჩნევენ თავს, ვერ ეყრდნობიან საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებს, რაც საქართველოს არადემოკრატიულობის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულებადაც შეიძლება ჩაითვალოს. გავიხსენებ ირაკლი ალასანიას გამოსვლას დავით პაიჭაძის გადაცემაში. მან თქვა, რომ გუშანით ხვდება, რომ ხალხი მათ მხარს დაუჭერს. სოციალური გამოკითხვების ტექნოლოგია დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ჩვენ მაინც გუშანით ვზომავთ არსებულ განწყობებს. მეც, გუშანით, ჯერჯერობით ვერ ვგრძნობ რევოლუციური ტალღის აზვირთებას. პრობლემაა ის, რომ ოპოზიციის იმედი ხელისუფლების შეცდომებს ეფუძნება. ზოგადად ყველა რადიკალური ოპოზიციისთვის არის დამახასიათებელი მოახდინოს ხელისუფლების დელიგიტიმიზაცია, პროვოცირება, რომ მან შეცდომები ჩაიდინოს. ის, რომ ოპოზიციაში არ

არის ერთიანობა, ასევე არ უწყობს ხელს ასეთი ტიპის მასობრივ გამოსვლებს, იმიტომ რომ რევოლუციის ლოგიკით, შედეგის მისაღწევად ყველა ერთად უნდა იღებდეს.

საქართველოში რესპექტებელური ოპოზიციის შექმნა, რომლის ხელისუფლებაში მოსვლისაც არ შეგეშინდება, მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი აზრით, ირაკლი ალასანიას აქვს შანსი, რომ ასეთი ძალა ჩამოაყალიბოს, მაგრამ არა მგონია, რომ რადიკალური ტალღის აყოლა მას ამაში ხელს შეუწყობს. ჩემი აზრით, 2013 წლამდე ზუსტად იმდენი დროა, რომ სერიოზული ოპოზიციური ძალა ჩამოაყალიბდეს, რომელსაც შეეძლება რეალურად ჩაიბაროს ქვეყნის მმართველობა, თუკი ხალხი ამას გადაწყვეტს.

გოგი გვახარია – დიდი მადლობა. ვიდრე ბ-ნ დავითს გადავცემდე სიტყვას, მინდა ვთხოვო, რომ გვერდი არ ავუაროთ იმ მნიშვნელოვან აქცენტებს, რომლებიც ბ-ნმა გიამ გააკეთა თავის გამოსვლაში. ვგულისხმობ დასავლურ და მეორე მხრივ, რადიკალურ პოლიტიკას, პოლიტიკურ კლასს, რომელსაც სურს რადიკალიზმი. ასევე საინტერესო იყო ანალოგია პრეზიდენტ ბუშთან, და შემაშფოთებელი ანალოგია 91-92 წლების მოვლენებთან. როგორც მე გავიგე, რევოლუციის მოხდენის შემთხვევაში, დღეს იგი არ იქნება მშვიდობიანი, „ვარდების რევოლუციის“ მსგავსი და შეიძლება განმეორდეს 91-92 წლების მოვლენები. ამ მოვლენების გახსენებას დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა რიტორიკაშიც ვამჩნევ, თუმცა ამავე დროს ალბათ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ 91-92 წლებში სხვაგვარი სიტუაცია იყო ქართულ ჯარში, პოლიციაში და საერთოდ, განსხვავებული პოლიტიკური სპექტრი იყო, საზოგადოების პოლიტიკური კოლტურის დონეც დღეს ალბათ ბევრად უფრო მაღალია.

ბ-ნ დავით უსუფაშვილს მოვუსმინოთ.

დავით უსუფაშვილი – მოგესალმებით. დიდი მადლობა დღევანდელი შეხვედრის ორგანიზატორებს, ყველას, ვინც მობრძანდით და გადაწყვიტეთ ამ არცთუ სახალისო თემებზე დისკუსიაში მონაწილეობა.

ბ-ნ გიას საუბრიდან გამომდინარე, საკითხი ისე კი არ დგას, რომელი ოპოზიციური გზაა სწორი, არამედ გამოდის, რომ არც ერთი ოპოზიციური გზა, რომელიც ხელისუფლების ვადამდელი შეცვლის საკითხს დააყენებს, არ შეიძლება იყოს სწორი. მოსმენილის მთავარი თეზა ის იყო, რომ 2013 წლამდე ხელისუფლების შეცვლაზე ფიქრი, მიტინგის გზით იქნება თუ რეფერენდუმის, არასწორია. ასეთ ვითარებაში აზრს კარგავს იმაზე საუბარი, რომელი გზა შეიძლება იყოს უფრო სწორი და შესაბამისი ქვეყნის ინტერესებისთვის. 2013 წლამდე ლოდინის რეჟიმი ხელისუფლების მხრიდან მიიჩნევა ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პრიორიტეტად და ამას ეფუძნება, იქნება თუ არა სახელმწიფოებრიობა და დემოკრატია.

სულ მალე 9 აპრილის ტრაგედიის ოცი წელი უნდა აღვნიშნოთ. ვისურვებდი, რომ ქვეყანაში იყოს ვითარება, რომელიც მოგვცემს საშუალებას გაიმართოს სიღრმისეული დისკუსია იმაზე, თუ რა მოხდა მაშინ და შემდგომი ოცი წლის განმავლობაში, რამ განაპირობა ბევრი ჩვენი პრობლემა, რომელიც სათავეს შესაძლოა, იმ მოვლენებშიც იღებდეს. ამიტომ მე ამ თემებს ფილოსოფიური და თეორიული გადმოსახედიდან ვერ განვიხილავ. საქმე გვაქვს კონკრეტულ რეალობასთან და ამ რეალობიდან საუკეთესო გამოსავლის ძიებასთან.

როგორც ჩანს, არის სამი პოზიცია. პირველი, რომ არაფერი არ უნდა შეიცვალოს და ამ პოზიციას ძალიან ბევრი არგუმენტი აქვს, ისინი მე ჯერ კიდევ ოცდაორი წლის წინ მოვისმინე საბჭოთა არმიაში. როდესაც ამოსავალი წერტილი ის არის, რომ ხელისუფლება საუკეთესოა, მას ძალიან ბევრი რამ უნდა აპატიო და ანგარიში გაუწიო მის განწყობებს, ამ გადმოსახედიდან არაფერი არ უნდა შეიცვალოს. მაგრამ არის სხვა გადმოსახედიც, რომელიც „რესპუბლიკურ პარტიას“, ჩვენს კოლეგებს ახლადშექმნილ ალიანსში ცოტა სხვაგვარად

გვაფიქრებინებს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ თუ ამ ქვეყანაში სასწრაფოდ არ შეიცვალა ბევრი რამ, მაშინ ყოველ მომდევნო თვეს და წელს, გაცილებით მეტი პრობლემა დაგვიდგება, უფრო მეტი რამ იქნება შესაცვლელი და შეიძლება ბევრი რამ შეუქცევადი და შეუცვლელიც აღმოჩნდეს. არ ვგულისხმობ მხოლოდ ტერიტორიულ მთლიანობას, რომელიც რა თქმა უნდა, ერთ-ერთი უმთავრესი თემაა.

შეგახსენებთ ხელისუფლების მთავარ დაპირებებს, რომლებიც გვესმოდა მთელი ხუთი წლის განმავლობაში და აღარ გვესმის ბოლო ხუთი თვეა. ეს პირველ რიგში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ეხება. როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები, ისე ექსპერტები გამუდმებით იმეორებდნენ, რომ ეს იყო მთავარი პრობლემა და ამიტომ ამ სისტემის ცალკეულ ხარვეზებზე არ უნდა გაგვემახვილებინა ყურადღება. მეორე მთავარი გზავნილი იყო ძლიერი სახელმწიფოს ფორმირება, რომელიც საჭიროა ყველა სხვა ამოცანის გადაწყვეტისთვის. იყო საუბარი ნატოზე, 2008 წელს ნატოში უნდა ვყოფილიყავით, უნდა მოგვარებულიყო უსაფრთხოების საკითხი, ეკონომიკური პროგრესისთვის უნდა მიგვეღწია და ა.შ.

შევხედოთ თანმიმდევრულად და ვნახოთ, ამ ამოცანებიდან რომელია შესრულებული. შეგახსენებთ, თავად ხელისუფლების დღევანდელ პოლიტიკას. იმედი მაქვს, ყველამ მოისმინეთ პრეზიდენტის საპარლამენტო გამოსვლა. მასში არც ნატო ყოფილა ნახსენები, არც უსაფრთხოების სისტემა და ძლიერი სახელმწიფო. ერთადერთი თემა, რომელზე საუბარსაც მიხეილ სააკაშვილს დღეს პიარ-ტექნოლოგები ურჩევენ, სოციალური თემაა. თუმცა, ამ საკითხშიც, ვითარება უმძიმესია. სტატისტიკასაც შეგვიძლია მოვუხმოთ, ვნახავთ, რომ 2002 წლიდან 2007 წლამდე სამუშაო ძალის რაოდენობა 160 ათასი კაცით შემცირდა. 160 ათასი შრომისუნარიანი ადამიანი გასულია საქართველოდან. დასაქმებულთა რაოდენობა არ გაზრდილა, თვითდასაქმებულთა რიცხვი გაიზარდა მილიონამდე. ესენი არიან გლეხები, რომლებიც მიწას ამუშავენ.

ჩვენ საკითხს ასე ვაყენებთ – აქვს თუ არა უნარი ხელისუფლებას, გაუმკლავდეს იმ პრობლემებს და გამოწვევებს, რომელთა წინაშეც საქართველო დიდწილად ამავე ხელისუფლების უუნარობისა და ამავედროულად იმ ვითარების და ობიექტური გარემოებების გამო აღმოჩნდა, რომლებიც წარმოიქმნა საქართველოს გარშემო. მათ გამოწვევებში საქართველოს ხელისუფლებასაც მიუძღვის წვლილი, თუმცა რუსეთი და კრემლი რომ სააკაშვილს არ მოუგონია, ამას ყველანი ვხვდებით.

გაიფლანგა უნიკალური შანსი, რომელიც საქართველომ მიიღო 2003 წელს. საქართველოს ჰქონდა უპრეცედენტო, პრაქტიკულად, უპირობო მხარდაჭერა, რაც დღევანდელ გლობალიზებულ მსოფლიოში ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, წარმატების წინაპირობაა. ვგულისხმობ პოლიტიკურ წარმატებას, როდესაც აქ მომხდარი ამბები, ახალი ენერგიები, რეფორმისტული განწყობები მთელი მსოფლიოს მიერ იქნა აღიარებული არა როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად, არამედ, შეიძლება ითქვას, რომ იმ წლებში ეს იყო ვარსკვლავი. ჩვენ კი გავფლანგეთ ეს პოლიტიკური მხარდაჭერა. განსაკუთრებით აგვისტოს მერე, თავჩაღუნული ვზივარ შეხვედრებზე ჩვენს უცხოელ კოლეგებთან, როდესაც საერთაშორისო პოლიტიკურ მხარდაჭერაზეა საუბარი. ის, რასაც ვისმენ და ვხედავ, უკვე გახდა სამარცხვინო ჩემთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის და პოლიტიკოსისთვის. ბალტიისპირელ და პოლონელ ხალხს დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ მათი პრეზიდენტები საქართველოში სააკაშვილის მხარდასაჭერად ჩამოდიან. ისინი ჩამოდიან თავიანთი ინტერესების მხარდასაჭერად, იმიტომ რომ ხედავენ, რომ თუ რუსეთმა საქართველო დააჩოქა, მათაც იგივე ელით. ბოლო თვეების განმავლობაში, განსაკუთრებით აგვისტოს შემდეგ, არ მახსენდება ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ფიგურა, რომელიც ილაპარაკებდა იმაზე, რომ 2013 წლამდე ამ ქვეყანას აქვს მომავალი.

რაც შეეხება იმ საკითხს, რამდენი მრევლი ჰყავს ჩვენს ალიანსს. არა მგონია, რომელიმე პოლიტიკურ ძალას საქართველოში სხვა ტიპის ფორმატში უხდებოდეს მოქმედება, თუ არა ურთიერთობა ქართულ საზოგადოებასთან და დანარჩენ მსოფლიოსთან. იმაზე ფიქრი, რომ საქართველო იზოლირებული ტერიტორიაა და არ გვანტერესებს, რას ფიქრობენ მის საზღვრებს გარეთ, მიამოტობაა და ასე, არა მგონია, ვინმე ფიქრობდეს. დღეს საქართველოს სუვერენიტეტი დასულია 0, ... პროცენტამდე. ჩვენი სუვერენიტეტის უდიდესი ნაწილი მოსკოვის ხელშია, ნაწილიც წასულია ევროპის და მსოფლიოს სხვადასხვა დელაქაქაქებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში და ა.შ. ასეთ ვითარებაში, არ გაუწიო ანგარიში გეოპოლიტიკურ ვითარებას, უპასუხისმგებლობა იქნებოდა.

ხელისუფლების ერთი სერიოზული ნაწილი დაკავებული იყო ექსპერიმენტით, კულტურული რევოლუციით და სხვა გზებით, ახალი ქართველის გამოყვანით. ამ საზოგადოებიდან უნდა შექმნილიყო ახალი საზოგადოება, რომელიც დაეფუძნებოდა რაღაც იდეებს, მაგრამ ესეც მარცხით დასრულდა. ჩვენ საზოგადოებას ასე არ ვუყურებთ და პირველ რიგში სწორედ ქართველ ხალხთან გვაქვს ანგარიში ჩასაბარებელი, გვანტერესებს მათი მოსაზრებებიც და განწყობებიც.

ჩვენ, გინდა „რესპუბლიკელებს“, გინდა „ახალ მემარჯვენეებს“ და ირაკლი ალასანიას, ასეთი მარტივი წარმოდგენა რომ გვქონდეს სახელისუფლებო და სახელმწიფოებრივ საკითხებზე, როგორც თავის დროზე სააკაშვილს აღმოაჩნდა, დღეს ვერავინ დაგვასწრებდა ბევრი რამის გაკეთებას. პოპულისტური და რადიკალური ქმედებები თავიდანვე მოგვცემდა იმის გარანტიას, რომ ძალიან ბევრი ამომრჩეველი მათ მარტივად წამოეგებოდა. ბევრი მიფიქრია იმაზე, რას გააკეთებდა სააკაშვილი 10-11 აგვისტოს და დარწმუნებული ვარ, რომ იმ ვითარებაში ის რუსთაველზე ხალხს გამოიყვანდა და მოითხოვდა იმ ხელისუფლების წასვლას, რომელმაც ამ ტრაგედიაში მიიყვანა ქვეყანა. ჩვენ ასე არ მოვქცეულვართ. 91-92 წლებისთვის დღევანდელი მდგომარეობის შედარება, რბილად რომ ვთქვა, საკითხისადმი არაპროფესიონალური მიდგომაა, იმიტომ რომ ხალხი, პოლიტიკური წრე, საზოგადოება, ჟურნალისტები, ყველა, ვისაც რაიმე სიტყვა ეთქმის ამ საქმეში, ამ ოც წელიწადში მეტნაკლებად გავიზარდეთ და ასეთი ანალოგიები და პარალელები არასწორად მიმაჩნია.

როგორც აქ ითქვა, რეფერენდუმის გზა არ ყოფილა სწორი, რადგან ის შეიძლება ყველაზე ეფექტურად ჩაითვალოს. ხელისუფლებამ ისწავლა ჭკუა, როგორ უნდა გაუმკლავდეს მასობრივ დემონსტრაციებს, ამიტომ ამ მეთოდით, ისევე როგორც შიმშილობით, ცვლილება დღეს აღარ მიიღწევა, ამიტომ როგორც ჩანს, ეს გზები ნაკლებად სახიფათოა ხელისუფლებისთვის და აღარ აღელვებს. რეფერენდუმის შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა. რეფერენდუმის დროს ხალხს ეძლევა სიტყვა და ამ ნაწილში ხელისუფლებას უჭირს, იმიტომ რომ მან იცის, რომ შიდა ვითარება აღარ არის ისეთი, როგორც იყო თუნდაც ერთი წლის წინ, თუნდაც 7 ნოემბრის შემდეგ. სოციალური კვლევების შედეგებს ჩვენ დიდი ყურადღებით ვეცნობით. იმ კვლევებსაც, რომელიც მიხეილ სააკაშვილს მაგიდაზე უდევს, ეს არის თებერვლის პირველ რიცხვებში ჩატარებული კვლევები, რომლითაც მისი რეიტინგი თბილისში 17-18%-ს არ აღემატება. სექტემბერში ეს პროცენტი 47-ს უტოლდებოდა. იგივე კვლევები სხვა რამეზეც მეტყველებს. „მემარჯვენეებთან“ ალიანსის შექმნამდე გავზომეთ, და შემდეგაც და აღმოჩნდა, რომ ამ ორი პარტიის გაერთიანება ჩვენი ცალ-ცალკე მხარდამჭერების არითმეტიკულ ჯამს იძლეოდა. ანუ, ჩვენი ამომრჩეველი არ განაწყენებულა ალიანსის შექმნით. ასეთივე თავსებადობა აღმოჩნდა ირაკლი ალასანიასთან გაერთიანების შემთხვევაშიც. დღევანდელი მონაცემებით, ალასანია-ახალი მემარჯვენეები-რესპუბლიკელების ჯამური რეიტინგი მნიშვნელოვნად აღემატება ნებისმიერი სხვა ოპოზიციური ძალის რეიტინგს და უახლოვდება ხელისუფლების რეიტინგს თბილისში. თუმცა, ეს რეიტინგი არ არის ერთადერთი საშუალება, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ და რომელსაც ბრმად მივყვებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რეიტინგის გარდა მნიშვნელოვანია ჩვენი პოლიტიკა და ხედვა, გეზი და გზა, რომელზეც

ეს ქვეყანა უნდა დავაყენოთ. ჩვენი ნებისმიერი ნაბიჯი რეიტინგის გარდა, ფასდება იმით, თუ რას გამოიწვევს იგი ქვეყანაში. მიხეილ სააკაშვილმა კარგად იცის ეს ყველაფერი, ამიტომ მას რეფერენდუმის ყველაზე მეტად ემინია. ხალხის განწყობა სხვაა, საერთაშორისო ორგანიზაციების – სხვა. 2008 წლის იანვარში საპრეზიდენტო არჩევნებზე ყველას ემინოდა, რა იქნებოდა სააკაშვილის წაგების შემთხვევაში. იმიტომ რომ მაშინდელმა ოპოზიციამ, ჩვენი ჩათვლით, ვერ დავანახეთ ვერც ხალხს და ვერც საერთაშორისო საზოგადოებას ის ალტერნატივა, რომელიც არა მარტო სააკაშვილის შეცვლას მოახერხებდა, არამედ უკეთესი ქვეყნის აშენებასაც შეძლებდა. ეს მოიტანა 7 ნოემბერმა და სააკაშვილის ე.წ. გადადგომამ, როდესაც მას ერთი დღითაც კი არ დაუტოვებია თავისი რეზოლენცია. სააკაშვილი არ გადადგარა, მან გაითამაშა ეს ფარსი. 7 ნოემბერი კი იმ კონსტიტუციური ვადების უხეშმა დარღვევამ გამოიწვია, რომელშიც, ჩემდა სამწუხაროდ, ბ-ნი ვიაც მონაწილეობდა. ის საკონსტიტუციო კომისიის წევრი იყო, როდესაც სააკაშვილმა ერთპიროვნულად გადაწყვიტა თავისი შეხედულებისამებრ გადაეწერა კონსტიტუცია და დაენიშნა საპრეზიდენტო და საპარლამენტო ვადები. მაშინ არ მახსოვს ექსპერტების საპროტესო გამოსვლები, როდესაც სააკაშვილმა პარლამენტს „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებიდან გამომდინარე, 6-7 თვით გაუგრძელა ვადა. როდესაც ნოემბერში ვითხოვდით დავბრუნებოდით კონსტიტუციურ ვადებს, იმ ვადებს, რომელშიც დანიშნული იყო არჩევნები, გვიპასუხეს, რომ კონსტიტუციაში უკვე სხვაგვარად ეწერა. როცა როგორ გვინდა, ისე მოვაბათ ყური ქოთანს, ეს მგონი, არ არის საქვეყნო საქმეებზე მოფიქრალი ხალხის საქციელი.

რეფერენდუმი, ასევე პლებისციტი, არის კონსტიტუციური მექანიზმი და ამ მექანიზმით ბევრ ქვეყანაში ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდარა. თავმოყვარე ხელისუფლებები თავის ყოფნა-არყოფნას კონკრეტულ საკითხებს უკავშირებენ. როდესაც რეფერენდუმზე არ გადის პოზიცია, რომელზეც ისინი დგანან, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ისინი ტოვებენ თანამდებობას. მას შემდეგ, რაც 2004 წლის თებერვალში მოხდა, საქართველოს კონსტიტუცია არა აქვს. მაშინ საქართველოს და ქართველებს კონსტიტუცია კონსტიტუციური მექანიზმების დარღვევით, თავზე დაგვახიეს. სააკაშვილმა რუსულ-თურქმენული კონსტიტუცია შეგვიქმნა და მიიტაცა მთელი ძალაუფლება. ერთადერთი დარჩენილი მექანიზმია პლებისციტი და რეფერენდუმი, და ისიც ისეა ჩახლართული, რომ უნდა დანიშნავს, უნდა არა. დღემდე საქართველოში სარეფერენდუმი წინადადების ინიცირების თხუთმეტი შემთხვევა იყო და არც ერთი არ დაკმაყოფილებულა, არც შევარდნაძის, არც სააკაშვილის დროს. იმიტომ რომ ჯერ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უნდა გაიარო რეგისტრაცია კითხვაზე და მას შეუძლია არ დაგირეგისტრიროს საკითხი.

რეფერენდუმი ჩვენ კი არა, ქვეყანას სჭირდება სწორედ იმიტომ, რომ არ მივიდეთ გათიშულობამდე. იმ კრიზისში, რომელშიც იმყოფება ქვეყანა ომის შემდეგ, 7 ნოემბრის შემდეგ, ორი გაყალბებული არჩევნების შემდეგ და ზოგადად, სააკაშვილის პოლიტიკის შემდეგ, როდესაც მისი წარმომადგენლებიც კი პირდაპირ დასწავლილი ლოზუნგებით პასუხობენ ნებისმიერ შეკითხვას, იმიტომ რომ სხვა არაფერი აქვთ სათქმელი, ასეთ ვითარებაში არ მინდა სახელმწიფო დაინგრეს. არ მინდა დაინგრეს შეკოწიწებული კონსტიტუციური სისტემა რეკოლუციით ან სხვა რამით. იმიტომ რომ დღეს ოპოზიცია და ხელისუფლება მარტოები არ არიან ერთმანეთის პირისპირ. სუვერენიტეტი არ არის თეორიის ამბავი, ის პრაქტიკული ბერკეტებია. დღეს ყველაზე მეტი ბერკეტი რუსეთის ხელშია. ჩვენ უნდა ვიფიქროთ ისეთ გამოსავალზე, რომელიც რუსეთის ბერკეტს ყველაზე ნაკლებ საშუალებას დაუტოვებს რეალიზებისთვის. რუსთაველზე შეკრებილი 200 ათასი კაცი პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით დიდი ხიფათის შემცველია ქვეყნისთვის. ამიტომ ჩვენ სააკაშვილს მოუწოდებთ რეფერენდუმის დანიშვნისკენ. ამ გზით მშვიდობიანად გაირკვევა, რას ფიქრობს ამ კონკრეტულ საკითხზე ხალხი. ხელისუფლება ამ შემთხვევაში შეძლებს ან დარჩენას, ან ღირსეულად წასვლას. თუმცა, მას ისედაც შეიძლება მოუწიოს წასვლა, რადგან

პროცესები აქეთ მიდის. რეფერენდუმით ჩვენ ხელისუფლებას ვთავაზობთ გამოსავალს, რომ თუ ერთი კაცია წასასვლელი, მისმა წასვლამ არ გამოიწვიოს ის უბედურება, რაც ქვეყანაშია მოსალოდნელი. ამიტომ ჩვენ ორი მრევლის მსახურები კი არა, სწორი გზის მსახურები ვართ, ამასთან, ვიცით, რომ ეს საკითხი არ არის პოპულარული ქართული ოპოზიციური ამომრჩევლის დიდ ნაწილში.

ხელისუფლებამ, მიიტაცა მასმედიის საშუალებები, აქვს სრული კონტროლი ბიზნესზე. მაინტერესებს ვინმეს მხრიდან ამ მოვლენის ახსნა, შარშან, 5 იანვრის არჩევნების დროს ყველა პარტიის მიერ გამოქვეყნდა დეკლარაციები ფინანსური შემოწირულობების თაობაზე, მათ შორის „ნაციონალური მოძრაობისაც“. იმ შემოწირულობებში კერძო პირების შემოწირულობათა 99% წასულია „ნაციონალურ მოძრაობაში“, მაშინ როცა ხელისუფლების დათვლითაც კი, მოსახლეობის 47% მხარს უჭერს ოპოზიციას. გამოძიება არ არის საჭირო იმის დასაზუსტად, რომ მოქალაქეს 10 ლარის შეწირვაც კი აშინებს ოპოზიციური პარტიისთვის. ამ გადმოსახედიდან მელაპარაკებიან იმაზე, რომ ოპოზიციური პარტიები ვერ ვითარდებიან და ამიტომ გარდაუვალია სააკაშვილის 2013 წლამდე ყოფნა. ჩვენი აზრით, ხელისუფლება შესაცვლელია და საამისოდ არსებობს კონსტიტუციური გზები და საშუალებები. შეიძლება აქ უკვე ფსიქოლოგის დახმარებაც გახდეს საჭირო, როგორ უნდა ვაიძულოთ ხელისუფლება, გადადგას ეს ნაბიჯი. ჩვენი საფიქრალი არ უნდა იყოს ხელისუფლების განწყობები, ჩვენ იმაზე უნდა ვიფიქროთ, რა სჭირდება ქვეყანას. ამის გასარკვევად კი, რეფერენდუმზე უკეთესი საშუალება არ არსებობს. ყველას მიეცემა საშუალება გამოთქვას საკუთარი აზრი. შესაძლოა, ხელისუფლებამ განიმტკიცოს კიდევ ლეგიტიმაცია, რომელიც ძალიან აქვს შერყეული, რადგან ბევრი არასწორი ნაბიჯი გადადგა. ჩვენ გვჭირდება ხელისუფლება და არა ხელისუფლებისთვის მებრძოლი ხელისუფლება. ჩვენ გვჭირდება მთავრობა და არა თანამდებობის შენარჩუნების მიზნით მყოფი მთავრობა, გვჭირდება მთავრობა, რომელსაც მუშაობის საშუალება ექნება. სინამდვილეში, ყველა პიარით არის დაკავებული.

რეფერენდუმი, როგორც ინსტრუმენტი, რისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული და რისთვის არა. არ მაგონდება კრიტიკა ხელისუფლების მიერ პარლამენტისთვის შეთავაზებული იმ საკონსტიტუციო ცვლილებების გამო, რომელშიც ხელისუფლებას რეფერენდუმი შემოაქვს იმის გასარკვევად, პარლამენტი უნდა წავიდეს სახლში თუ პრეზიდენტი. იქნებ ბ-ნმა გიამ მანახოს რეფერენდუმის ასე სოციალურად დანაშაულებრივად გამოყენების სხვა მაგალითი. ამ საკითხში რეფერენდუმის სიწმინდე მაინცდამაინც არ აღეგებს ხალხს, ჩვენს მიერ რეფერენდუმის ჩატარების არსებული კონსტიტუციური და კანონიერი ფორმით მოტხოვნა კი, გაუგებარ და არასწორ გზად სახელდება. მე, რა თქმა უნდა, არ ველი, რომ სააკაშვილი რეფერენდუმს დანიშნავს, ბ-ნ გიას დღევანდელმა მოხსენებამაც დამარწმუნა, რომ ეს არის ის გზა, რომლისადაც სააკაშვილს ყველაზე მეტად ეშინია. ამის თაობაზე, ვიცი, რომ ჩვენი კოალიცია სერიოზული დარტყმების წინაშე დადგება, გარკვეულმა ოპოზიციურმა ძალებმა უკვე გახსნეს ცეცხლი და ამბობენ, რომ ჩვენ სააკაშვილთან ვართ შეკრულები. ხელისუფლების შეცვლა არ ნიშნავს სახელმწიფოს დაზიანებას, არასწორი ხელისუფლების დატოვებაა სახელმწიფოს დაზიანება. ჩვენი პრიორიტეტია ხელისუფლების ისე შეცვლა, რომ სახელმწიფოებრიობა არ დაზიანდეს და არ დაფუშვდეს არაკონსტიტუციური გზები. სამწუხაროდ, პროცესები, შესაძლოა, აქეთკენაც წავიდეს. შესაძლოა, დღევანდელი გადასახედიდან ხვალ და ზეგ ეს ჩვენი რეფერენდუმი საოცნებოც გაგვიხდეს, ისე როგორც გახდა საოცნებო 7 ნოემბრის შემდეგ. 2 ნოემბრის აქციების შემდეგ 4 და 5 ნოემბერს პლებისციტის ჩატარებაზე იყო უკვე საუბარი, მაგრამ უარი ითქვა, როგორც ჩანს, ჯერ უნდა მომხდარიყო 7 ნოემბერი, ეს საშინელი დღე მთელი ქვეყნისთვის და ხელისუფლებისთვის. შემდეგ მართლაც დანიშნეს პლებისციტი საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად. ამიტომ, ჩემი აზრით, ეს პოლიტიკური კი არა, მოქალაქეობრივი საკითხია და ამ თემაზე ჩვენი დღევანდელი პოზიციები, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი იქნება მომავლისთვის. დიდი მადლობა.

გოგი გვახარია – ბ-ნო ღავით, რა გარანტია არსებობს, რომ დანიშვნის შემთხვევაში არ გაყალბდება რეფერენდუმი. და თუ უშვებთ იმას, რომ რეფერენდუმით თქვენ წააგოთ და ხელისუფლებამ გაიმარჯვოს? ყველანი ვეცნობით სოციოლოგიურ გამოკითხვებს.

ღავით უსუფაშვილი – იქნებ მითხრათ, კონკრეტულად რომელ სოციოლოგიურ გამოკითხვას გულისხმობთ, ჩვენც გავეცნობოდით მას. ის, რომ სააკაშვილს ფარდობითი უპირატესობა აქვს კონკრეტულად ჩვენთან, ბურჯანაძესთან და სხვებთან შედარებით, არ ნიშნავს იმას, რომ მას აბსოლუტური უმრავლესობა აქვს. 2008 წლის 22 მაისს, არჩევნების მეორე დღეს პირდაპირ ეთერში მომიწია ყოფნა. მე ვიყავი პირველი და შესაძლოა, ერთადერთი, როგორც პარტიის წარმომადგენელი, რომელმაც ვაღიარე არჩევნებში დამარცხება. ისიც ვთქვი, რომ ამ დამარცხებას ორი მიზეზი ჰქონდა, ყველაფერი ხელისუფლებისთვის არ დამიბრალეია. მე ვთქვი, რომ ჩვენ მივიღეთ დაახლოებით 4%, ამდენივე დავკარგეთ ჩვენი არასწორი კამპანიით, დაახლოებით 3-4% ხელისუფლებამ წაგვართვა და ა.შ. პატიოსან ბრძოლაში დამარცხების აღიარებაც უნდა ვისწავლოთ. ამიტომ თუ გაიმარჯვებს სააკაშვილის პოზიცია, რომ 2013 წლამდე უნდა დარჩეს ეს ხელისუფლება, ყველაფერი ასევე დარჩება. ჩვენ მივიღებთ ამას, როგორც ჩვენი ხალხის გადაწყვეტილებას. ამ ხალხის უმრავლესობას ათეულობით წლის განმავლობაში სხვა პოზიცია ეკავა, ვიდრე „რესპუბლიკურ პარტიას“, მაგრამ ამის გამო არც ჩვენ გავქცევულვართ აქედან და არც არავის გავბრაზებთ. ჩვენ განვაგრძობთ მუშაობას, რათა სამომავლოდ უფრო მეტ ადამიანთან გამოვხანოთ საერთო ენა.

რაც შეეხება იმას, რატომ არ ან ვერ გაყალბდება რეფერენდუმი, საამისოდ მნიშვნელოვანი არგუმენტები გვაქვს. პირველი, სააკაშვილი არ არის ჯადოქარი, რომელიც შეძლებს ჯოხის აქნევით გააჩინოს ბიულეტენები ყუთში. მას ამ საქმეში ათიათასობით ადამიანი ეხმარება მთელ საქართველოში, დაწყებული მთავრობიდან, ეგზიტპოლების სპეციალისტებითა და პედაგოგებით დამთავრებული. სხვათა შორის, განათლების სისტემა ამ ნაწილში ყოველთვის პირველ ადგილზე იყო. დღეს რატომ ვფიქრობთ, რომ არ მოხდება იმ მასშტაბის გაყალბება, რაც უწინ მომხდარა. ამ თემაზე რეფერენდუმის დანიშვნა ძალიან სერიოზული გზავნილია იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც წლების განმავლობაში ჩართულები არიან ამ სიყალბის მანქანაში. ისინი ხვდებიან, რომ შესაძლოა სერიოზული ცვლილებები მოხდეს და ამიტომ, როგორც წესი, სხვა მოტივები უჩნდებათ. გაყალბების მექანიზმის ეფექტურობა ამ დროს მნიშვნელოვნად მცირდება. მეორე, გაყალბების საშუალებას ხელისუფლებას ოპოზიციის არაკოორდინირებულობა და შეუთანხმებლობა აძლევს ხოლმე. როდესაც ისმება ძალიან მკაფიო კითხვა, გსურთ თუ არა ვადაძლევი საპრეზიდენტო არჩევნები 2009 წლის განმავლობაში, ხერხდება ხოლმე ოპოზიციის ერთიანობის მიღწევა. ოპოზიციის ერთიანობა ხმების დასაცავად ძალიან სერიოზული ფაქტორია, რომელიც გვაძლევს იმის იმედს, რომ რეფერენდუმი ვერ გაყალბდება და მესამე, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი – საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულება, რომლის გარეშე ვერც გამარჯვება „პრავდება“ და ვერც რეკოლუცია, მიმდინარე მოვლენებისადმი, დღეს თუნდაც 2008 წლის იანვრისგან, სრულიად განსხვავებულია. ჩვენ ძალიან სერიოზული ხალხისგან გვაქვს გარანტიები, რომ რეფერენდუმის დანიშვნის შემთხვევაში პრაქტიკულად ყველა უბანზე იქნება საერთაშორისო დამკვირვებელი. მედია-მონიტორინგი უნდა ჩატარდეს არა არჩევნების დღეს, არამედ ორი თვით ადრე. ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებზე მონიტორინგის სისტემაც ორი თვით ადრე უნდა ჩაერთოს, და ეს უნდა იყოს ქმედითი. საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების და მისიების მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია, და ბოლო ფაქტორი – თავად სააკაშვილის პოლიტიკური გუნდი. დღეს თქვენთან რომ მოვდიოდ, გზაში ერთ-ერთი რადიოდან დამირეკეს და მითხრეს, რომ ჟურნალისტებს ყველაზე კორექტულ პოლიტიკოსად დავუსახელებივარ. მესიამოვნა, თუმცა გამიკვირდა კიდევ, იმიტომ

რომ ბოლო ხანებში მეც მიჭირს რაღაცებისგან თავის შეკავება. თუმცა, ჯერ კიდევ ვაკონტროლებ ვითარებას, ამიტომ არ ვაპირებ იმ მინისტრებისა და პარლამენტარების გვარების დასახელებას, რომლებსაც ჩემზე მეტი არგუმენტი დაუგროვდათ იმისთვის, რომ სერიოზული ცვლილებებია განსახორციელებელი. ყველანი ვხედავთ ამ პოლიტიკური გუნდის ნამსხვრევებს, ზოგს ოკეანის გაღმა, ზოგსაც – პარლამენტს მიღმა, ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, ბ-ნი გია ნოდია რომ აღარ ენდომებოდა მთავრობაში, ასეთი პოლიტიკური გუნდი რისი შემძლეა ხვალ ან ზევ. პოლიტიკური გუნდის ერთიანობის ილუზია მე მგონი, უკვე თავადაც დაემსხვრა.

გოგი გვახარია – ყველაფერი ის, რაც ჩამოთვალეთ, ალბათ იმაზე მიუთითებს, თუ რატომ არ დანიშნავენ რეფერენდუმს.

დავით უსუფაშვილი – გეთანხმებით.

გოგი გვახარია – მოდით, ახლა ბ-ნ გია ნოდიას მივცეთ საშუალება უპასუხოს შენიშვნებს, შემდეგ კი დარბაზიდან შეკითხვებს ვუპასუხებთ.

გია ნოდია – შევეცდები თეზისურად ჩამოვყალიბო სათქმელი. რაც შეეხება 91-92 წლებთან ანალოგიას, თავის დროზე ჰეგელისგან ვისწავლე, რომ ისტორია არ მეორდება, ასე რომ იმ წლების მოვლენების გამეორება არ მიგულისხმია. მეც ვიცი, რომ დღეს სახელმწიფოც სხვაა და საზოგადოებაც, ამიტომ მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ახლა პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა ტიპოლოგიურად უფრო წააგავს იმ პერიოდს, ვიდრე 2003 წელს.

მე არ მითქვამს, რომ ეს ხელისუფლება საუკეთესოა. შესაძლოა, ხელისუფლება ძალიან ცუდიც იყოს, მაგრამ ეს რომ მართლაც ასე იყოს, მაინც არ ამართლებს ვადაძლეულ არჩევნებს. იმის თქმა, რომ 2004 წლის შემდეგ კონსტიტუცია აღარ გვაქვს და ამიტომ კონსტიტუციონალიზმზე აღარ უნდა ვიფიქროთ, გამართლებულად არ მიმაჩნია.

დავით უსუფაშვილი – მე, მხოლოდ იმის საჩვენებლად კონსტიტუციას ვინ როგორ მოეპყრო, გავიხსენე 2004 წლის თებერვალიც და ის პერიოდიც, როდესაც თქვენც იყავით კომისიაში.

გია ნოდია – მხოლოდ ერთს დავამატებ. იმის თქმა, რომ კონსტიტუცია აღარ გვაქვს და პირდაპირ დემოკრატიაზე უნდა გადავიდეთ, დავივიწყოთ კონსტიტუცია, არასწორი მგონია. რაც შეეხება რეფერენდუმის თემას. ჩვენ იმაზე არ ვლაპარაკობთ, ეფექტურია თუ არა იგი. ერთია ის, რომ მე არ მესმის სამართლებრივად რა გამართლება აქვს მას და მეორეა ის, რომ ხელისუფლებას ისევე აქვს საფუძველი, არ დანიშნოს რეფერენდუმი, როგორც არ გადადგეს.

ალექსი შოშიკელაშვილი – ბ-ნო დავით, რეფერენდუმის დანიშვნის ლეგიტიმური და კონსტიტუციური გზა არის 200 ათასი ამომრჩევლის ხელმოწერის მობილიზება. ვიცი, თქვენ აქტიურად მუშაობდით საქართველოს კონსტიტუციის ჩამოყალიბების პროცესში. როდესაც კონსტიტუციაში იდებოდა რეფერენდუმთან დაკავშირებული საკითხები, შეკითხვაზე, თუ რატომ არის საჭირო 200 ათასი ადამიანის ხელმოწერა რეფერენდუმის დასანიშნად, იყო ახსნა, რომ ეს იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რომ იგი ფართო საზოგადოების განსჯის საგანი, ფართო საზოგადოების ინიციატივა უნდა ყოფილიყო. ამით კონსტიტუციაში ხაზი ჰქონდა გასმული რეფერენდუმის მნიშვნელობას.

საინიციატივო ჯგუფის მიერ 200 ათასი ხელმოწერის შეგროვება კონსტიტუციური, სამართლებრივი და გასაგები გზაა. ალბათ ჯერ უფლების მიღების პროცედურა იყო საჭირო,

თუ ამის გაკეთების უფლება არ მოგცემდნენ, შემდგომ დადგებოდა ამ თემაზე პოლიტიკური დებატების გამართვის საჭიროება. შეგახსენებთ, სამი ორგანიზაციის – „კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის“, „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ და „21-ე საუკუნის“ ინიციატივით დაისვა რეფერენდუმის საკითხი, შეგროვდა 200 ათასი ხელმოწერა და დღეს პარლამენტში 85 დეპუტატით ნაკლებია წარმოდგენილი. შედეგს მივალწიეთ საქართველოს ისტორიის უახლოეს პერიოდში. აქედან გამომდინარე, ხომ არ ფიქრობთ, რომ უფრო უპრიანი იქნებოდა, ეს გზა უფრო ფართო საზოგადოების მხრიდან ყოფილიყო არჩეული, და არა ორი პოლიტიკური სუბიექტის მიერ.

დავით უსუფაშვილი – რეფერენდუმის დანიშვნის ლეგიტიმური გზა ნამდვილად არის 200 ათასი ხელმოწერის შეგროვება, მაგრამ ეს არ არის ლეგიტიმურად რეფერენდუმის დანიშვნის ერთადერთი გზა. ჩვენი კანონმდებლობით, და სამწუხაროდ, ყოველთვის ამის წინააღმდეგი ვიყავი, პრეზიდენტს შეუძლია ამ 200 ათასი ხელმოწერის გარეშეც დანიშნოს რეფერენდუმი. პრეზიდენტს აქვს სარეფერენდუმო უფლებამოსილება, რომელიც ერთ-ერთ იმ უფლებამოსილებათაგანია, რომელიც სერიოზულად არის გადასახედი. ორივე ლეგიტიმური გზაა. რატომ ავირჩიეთ ჩვენ გზა, რომლითაც მივმართავთ პრეზიდენტს და ვახსენებთ, რომ მას აქვს ასეთი უფლება და ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო ვურჩევთ გამოიყენოს ეს უფლება. ამას ორი მიზეზი ჰქონდა. პირველი – მწარე გამოცდილების გამო. ვიდრე 200 ათასი ხელმოწერის შეგროვებას დაიწყებ, ჯერ ეს საკითხი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უნდა დაარეგისტრირო, სადაც გადაწყვეტილება ხმების უმრავლესობით მიიღება. მეორე – რომც მოხდეს სასწაული და ცესკომ მოგვცეს ამის უფლება, გადავდივართ ხანგრძლივ პროცედურებში, რომლის დრო და საშუალებაც ქვეყანას არა აქვს. ამიტომ მივმართეთ პრეზიდენტს, გამოიყენოს მოკლე გზა და დანიშნოს რეფერენდუმი თავისი გადაწყვეტილებით. ეს არის ჩვენი მკაფიო პოზიცია.

გია ნოღია – მინდა შევახსენო ბ-ნ დავითს და აქ შეკრებილ საზოგადოებას, რომ როდესაც ამ რეფერენდუმის საკითხი იდგა, ბ-ნი დავითი მისი წინააღმდეგი იყო და ამბობდა, რომ რეფერენდუმი არ უნდა გამართულიყო, რადგან ეს არ იყო სარეფერენდუმო შეკითხვა.

დავით უსუფაშვილი – კონსტიტუციური ცვლილება რეფერენდუმის გზით დაუშვებელი იყო მაშინაც და ახლაც.

გია ნოღია – ჩემი აზრით, ახლაც ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. კონსტიტუცია ადგენს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადებს, შესაბამისად, ახლაც რეფერენდუმით ადგენთ ისეთ საკითხებს, რაც კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. გამოდის, რომ რეფერენდუმით აუქმებთ კონსტიტუციას.

დავით უსუფაშვილი – ბ-ნი გიას მსჯელობაში არის სერიოზული ლოგიკა და არგუმენტაცია, მაგრამ ამ თემაზე ჩვენ ნაფიქრი გვაქვს და ის, რასაც ჩვენ ვთავაზობთ ხელისუფლებას, თავსდება იმ პრინციპში, რომ კონსტიტუცია იცვლება პარლამენტის მიერ და არა რეფერენდუმის გზით. მაშინაც, იმ საინიციატივო ჯგუფთანაც და შევარდნაძესთანაც, რომელმაც ის რეფერენდუმი დანიშნა, სერიოზული კამათი მქონდა. კონსტიტუციური ცვლილების საკითხი არ შეიძლებოდა ასე დამდგარიყო, იმიტომ რომ საქართველოს პარლამენტი გაუგებარ ვითარებაში აღმოჩნდა. ერთი მხრივ, პარლამენტი ის ორგანო, რომელმაც კონსტიტუციის ცვლილებას ხელი უნდა აუწიოს და სხვა ვერავინ შეცვლის კონსტიტუციას, მეორე მხრივ, წერია, რომ რეფერენდუმის შედეგია და იურიდიულად მავალდებულებენ. ჩვენს შეთავაზებაში ასეთი პრობლემა არ ჩნდება.

მამუკა ყუფარაძე, სტუდია „რე“ – ბ-ნო ვია, თქვენ ბრძანეთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე რეფერენდუმის დასანიშნად ძალიან სერიოზული მიზეზებია საჭირო. როგორც ჩანს, იმისთვის, რომ ხალხს ასეთი მოთხოვნა გაუჩნდეს, ომის გამოწვევა და შედეგები სერიოზულ მიზეზად არ მიგაჩნიათ. იქნებ დაგვისახელოთ მაგალითი, სხვა რა შეცდომა უნდა დაეშვა ხელისუფლებას, რომ ლეგიტიმურად ჩაითვალოს რეფერენდუმის დანიშვნა.

ვია ნოღია – ოპოზიციის ან ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების უკმაყოფილება იმით, რომ ხელისუფლება არის ცუდი, არ არის საფუძველი იმისთვის, რომ შეიცვალოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა. რა თქმა უნდა, ყოველთვის შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი ვითარება, რომ ხალხს გადაავიწყდეს კონსტიტუციაც და კანონებიც და მორალური აღშფოთების ისეთ დონეს მიაღწიოს, რომ კონსტიტუციაზე არავინ დაფიქრდეს, მაგრამ მე ვერ ვხედავ დღევანდელ საზოგადოებაში აღშფოთების ასეთ დონეს ომში საქართველოს ხელისუფლების ქმედებაზე. ვერც ოპოზიციაში ვხედავ სერიოზულ კრიტიკას და მსჯელობას იმაზე, სახელდობრ რა იყო არასწორი და რა უნდა გაეკეთებინა პრეზიდენტს ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს ასეთ შემთხვევაში.

შორენა შავერდაშვილი, ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“ – ბ-ნო დავით, თუ შეგიძლიათ ისაუბროთ მოვლენების განვითარების შესაძლო სცენარებზე. დარწმუნებული ვარ, გათვლილი გექნებათ ეს საკითხი. როგორ ფიქრობთ, როგორ განვითარდება მოვლენები და რა იქნება თქვენი მომდევნო ნაბიჯი?

გოგი გვახარია – მეც დავამატებ ერთ შეკითხვას. როგორ წარმოგედგინათ თანამშრომლობა შემდეგომში რადიკალურ ოპოზიციასთან. როგორც ვიცით, რადიკალური ოპოზიცია უკმაყოფილოა რეფერენდუმის საკითხის დაყენებით. დადებით თუ არა 9 აპრილს რადიკალურ ოპოზიციასთან ერთად?

დავით უსუფაშვილი – ჩვენი ანალიზით, მდგომარეობა უკიდურესად შემაშფოთებელია. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებამ რიგი მიზეზების გამო საკუთარი თავი ისეთ ვითარებაში ჩაიყენა, როდესაც უმთავრესი პრობლემებისადმი გამკლავების უნარი აღარ შესწევს. ეს არის ეკონომიკური თემებიც, სოციალური და უსაფრთხოების საკითხები, საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის იმ დონეზე და ფორმატში წარმოდგენაც, რომელიც მოგვცემდა უსაფრთხოების გარანტიებს. ავტორიტეტის დღითიდღე დაცემა სერიოზულ ბერკეტს აძლევს რუსეთს არა მხოლოდ იმისთვის, რომ სააკაშვილი შეცვალოს, არამედ იმისთვისაც, რომ ასეთ ვითარებაში მყოფი ხელისუფლების პირობებში მაქსიმუმი მიიღოს. უკიდურესად შემაშფოთებელი ვითარებაა შექმნილი კავკასიაში. როდესაც რაიმე ნაბიჯის გადადგმას ვაპირებთ, ვცდილობთ ამ ყველაფრის გათვალისწინებას. ეს არ არის მხოლოდ ცხინვალის და სოხუმის თემა, მხოლოდ დევნილების თემა. ეს არის საქართველოს სხვა რეგიონების თემა, თურქეთის პოლიტიკის ფორმირების პროცესი, რომელშიც უკიდურესად შემაშფოთებელი ნიშნები ჩანს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გადასწავილდეს რუსეთსა და თურქეთს შორის ინტერესები კავკასიაში და ამ ვითარებაში საქართველოს და ქართველი ერის პროექტი და ინტერესები რამდენად ჯდება ან არ ჯდება. ბევრი სხვა თემა არსებობს, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა მსოფლიო გეოპოლიტიკურ კონტექსტში საქართველოს თემამ მნიშვნელოვნად გადაიწიოს უკანა პლანზე. მე ვერ კიდევ შორს ვარ იმ აზრისგან, რომ სააკაშვილი თავად ემსახურება ვინმეს ინტერესებს გარდა მისივე საკუთარი, ჩემი აზრით, არასწორი ინტერესებისა, მაგრამ ძალიან მიჭირს ბევრი მოვლენის ახსნა ჩვენი უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში, არა მხოლოდ კონფლიქტებთან არამედ ეკონომიკასთან,

რუსეთთან მიმართებაში. დღემდე გაუგებარია ჩემთვის, რა ხდება ენგურჰესის ირგვლივ. დაახლოებით ორი თვის წინ, დეკემბრის შუა რიცხვებში, როდესაც ბ-ნი ბრაიზა ბრძანდებოდა საქართველოში, მასთან გვქონდა შეხვედრა და გვეუბნებოდა, რომ რუსეთის მთავარი ამოცანა ახლა ენგურჰესზე კონტროლის დამყარებაა და გვირჩევდა, მზად ვყოფილიყავით პროვოკაციებისთვის ამ მიმართულებით. იანვარში უცებ ვიგებთ ენგურჰესის გადაცემის შესახებ, მაგრამ ვერ მოვისმინეთ ამ საკითხის ვერც არგუმენტები, ვერც ახსნა. როდესაც ქვეყანა მრავალმხრივი გამოწვევების წინაშე დგას, ქვეყნის პოლიტიკური სისტემა სტაბილური უნდა იყოს. ჯერ კიდევ სექტემბერში გვქონდა ეს ინიციატივა, მიემართეთ ხელისუფლებას, რომ ყველა გვემასთან ერთად შეგვედგინა ქვეყნის შიდა პოლიტიკური განვითარების გეგმა. სექტემბრის გადმოსახედიდან ვფიქრობდით, საპარლამენტო არჩევნებზე, ვთქვათ, ერთი წლის თავზე, 2009 წლის შემოდგომაზე. ერთი წელი ის ვადაა, რომლის დროსაც ხელისუფლება თავისუფლდება წნეხისგან, რომ ყოველ ნაბიჯზე ვიდაც არის ჩასაფრებული და ფეხს გამოსდებს, ამიტომ დახვავებული პრობლემებისთვის მოიცვლიდა. ოპოზიციაც დაინახავდა ცვლილებების შესაძლებლობას, ხალხს აუხსნიდა, რომ ქვეყნის ინტერესებისთვის ახლა ასეა საჭირო, როგორც აგვისტოში სიტყვა არ დაგვცდენია ხელისუფლების საწინააღმდეგოდ, იმ პერიოდშიც ვამბობდით, რომ გაიხსნებოდა საარჩევნო კამპანია და ეს იქნებოდა ნორმალური გადასვლა ახალ ვითარებაზე.

ჩვენი შეფასებით, სააკაშვილის ეპოქა, პროექტი დასრულდა. ეს პროცესი დაიწყო 7 ნოემბერს და 7 აგვისტოს დასრულდა. ეს არის ჩვენი გულწრფელი დასკვნა, ამიტომ მიგვაჩნია საჭიროდ ცვლილება. გვინდა, ეს ცვლილება ნორმალური იყოს. მან არ უნდა გამოიწვიოს ეროვნული მასშტაბის დაპირისპირება და ანგარიშსწორება ყოველი ოფისის დონეზე, არ უნდა გამოიწვიოს კვალიფიციური და პროფესიონალი ადამიანების მთელი არმიის მოცილება, რაც საქართველოში არაერთხელ მომხდარა. ხელისუფლებისთვის რეფერენდუმის დანიშვნასთან დაკავშირებით მიცემული ულტიმატუმის ვადა ხვალ საღამოს იწურება, რა იქნება ზევ, თუ პრეზიდენტი არ გაითვალისწინებს ჩვენს მოთხოვნას, ჩვენ, „ალიანსი საქართველოსთვის“, მძიმე არჩევანის წინაშე აღმოვჩნდებით. ჩვენ გავაკეთებთ იმას, რისიც გვჯერა. პირველ რიგში, მივალთ ჩვენს ხალხთან. ხალხი უნდა გაძლიერდეს ყველა ტიპის საფრთხისთვის. გაძლიერებაში მის მობილიზებას და გააქტიურებას ვგულისხმობ. ყველგან უნდა გვეგულებოდეს ადამიანები, რომლებიც, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, შეძლებენ პროცესებზე გავლენის მოხდენას.

გოგი გვახარია – როგორ აპირებთ ამის გაკეთებას?

დავით უსუფაშვილი – ჩვენ დავიწყეთ ბანკის მოვალეთა კომიტეტების შექმნა ყველა რაიონში. ვფიქრობთ, იმ პროცესს, როგორ აიღო მოქალაქემ თავისი ხელფასის იმედით 500 ლარის ოდენობის საბანკო კრედიტი, როგორ შეიძინა მაცივარი, შემდეგ როგორ დაკარგა ომის გამო სამსახური და აღარ აქვს ბანკისთვის პროცენტის გადახდის საშუალება, ბანკს კი არ აქვს მისთვის ახალი ბიზნეს-იდეისთვის თანხის მიცემის საშუალება, სახელმწიფო შორიდან არ უნდა უყურებდეს. მით უმეტეს, რომ სახელმწიფომ იმ 4 მილიარდნახევრიან დონორულ დახმარებაში საბანკო სექტორის დახმარებისთვის 700 მილიონით დახმარების დაპირება მიიღო. ჩვენი აზრით, ეს თანხა პირდაპირ ბანკს კი არ უნდა გადაეცეს, ამ თანხით სახელმწიფომ უნდა გაისტუმროს ბანკის ვალი და მოქალაქე გახდეს სახელმწიფოსთან ვალში, შესაბამისად, მოხდეს რესტრუქტურისა და ამ ვალის გადახდა პირდაპირ მიებას საშემოსავლო გადასახადის გადახდის დაწყებას. ეს არის ის ფენა, რომელმაც ამ ვითარებაში რაღაც წამოიწყო. ბანკიდან სესხის აღება არ არის მარტივი გადაწყვეტილება. ეს არის საშუალო ფენის ჩანასახი, რომელიც იწყებს მომავალზე ფიქრს, ეს არის საზოგადოება, რომელმაც

მომავალში სამუშაო ადგილი უნდა შექმნას და მერე სხვაც დაასაქმოს. ეს იყო ერთი კონკრეტული მაგალითი.

რაც შეეხება ჩვენს მონაწილეობას 9 აპრილს დაგეგმილ აქციაში, ამ თემაზე კონსულტაციები მიმდინარეობს. ჩვენ გვაქვს სერიოზული კითხვები იმ მოდელთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ცხრაში შეიკრიბებიან და სააკაშვილის გადადგომამდე არ დაიშლებიან. ჩვენი აზრით, ეს არასწორი გზაა არა იმიტომ, რომ რადიკალური და კონსტრუქციულია. საქმე ის არის, რისი მიღწევა შეიძლება ამ გზით. გვეჭვწვება, ასეთ მიტინგებში გამოვრძმედილ სააკაშვილს ძველი სტილის მიტინგებით რაიმე დაათმობინო. გვაშფოთებს ის, რომ ათასგვარ პროვოკაციაში გამოვრძმედილი სააკაშვილი არ წავიდეს ისეთ პროვოკაციაზე, რომელიც ცუდ შედეგს გამოიღებს. არც იმაში ვართ დარწმუნებულები, რომ ასეთ ვითარებაში რუსეთს არ მიეცემა მანევრის საშუალება. ჩვენ მასობრივ და საპროტესტო აქციებს კი არ გამოვრიცხავთ ჩვენი არსენალიდან, გვინდა არ გავიმეოროთ ის, რაც ადრე ხდებოდა. 2 ნოემბერს 120 ათასი კაცი მოვიდოდა რუსთაველზე თუ 20 ათასი, არავინ ვიცოდით წინაღამეს. მთელი საქართველო შემოვიარეთ, დავიბარეთ ხალხი, მაგრამ ზუსტად რამდენი ადამიანი მოგროვდებოდა, წინასწარ არავინ ვიცოდით. როდესაც საყოველთაო აქციაზე იწვევ ხალხს, უნდა გქონდეს იმის გარანტია, რომ კრიტიკული მასა, ჩვენს სტანდარტებში ეს 30 ათასია თუ 40, არ ვიცი, სახელით და გვართ უნდა იცოდეს. ეს მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ამ აქციას ჰქონდეს სოლიდურობა და არ იქმნებოდეს ისეთი სიტუაციები, როგორც ადრე შექმნილა. ამიტომ, საპროტესტო აქცია ეფექტური უნდა იყოს და სხვადასხვა ძალის მხრიდან პროვოკაციას გამორიცხავდეს. დღევანდელი გადასახედიდან ვერ ვხედავთ, რომ 9 აპრილს ეს თემები მოგვარებული იქნება და შევძლებთ თამამად მისვლას და მონაწილეობას. თუმცა, თუ კოლეგები დაგვარწმუნებენ, 9 აპრილი შეიძლება დავინახოთ, როგორც სამოქალაქო სოლიდარობის და მნიშვნელოვანი პროტესტის გამოთქმის ერთ დღედ.

გოგა ვარძელი – ბ-ნო დავით, თქვენ ახსენეთ პოლიტიკური ლიდერები დასავლეთში, რომლებმაც წაიღეს საქართველოს სუვერენიტეტის დიდი ნაწილი და ვერ წარმოუდგენიათ სააკაშვილი ხელისუფლებაში 2013 წლამდე. რას ეფუძნება თქვენი განცხადება და თუ გაქვთ კონკრეტული მაგალითები.

დავით უსუფაშვილი – ამასწინათ საქართველოს სტუმრობდა ევროკავშირის ერთ-ერთი მაღალი წარმომადგენელი, რომელმაც საქართველოსთან დახმარების თაობაზე გააფორმა ხელშეკრულება. ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე საუბრისას, წინა შეხვედრებისგან განსხვავებით, მთავარი კითხვა იყო, რამდენად ვახერხებთ ერთიანობას და როგორ ვაპირებთ მოქმედებას. მე ვხედავ ძალიან კონკრეტულ პრობლემებს, რომელიც ქვეყანას ექმნება იმის გამო, რომ სულ უფრო და უფრო მეტ მთავრობის ლიდერს, პრეზიდენტს, გადაწყვეტილებების მიმღებ სხვა პირებს აქვთ იმედგაცრუება სააკაშვილის, როგორც მოვლენის თაობაზე. საგარეო საქმეთა მინისტრის, ეკა ტყეშელაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლების ეპიზოდს გაგახსენებთ. ის ძალიან სერიოზულ მოლაპარაკებაზე იმყოფებოდა, როდესაც იქვე მყოფმა მისმა კოლეგებმა მიიღეს შეტყობინებები ამ თემაზე. გაიხსენეთ თან, ეს რა პერიოდი იყო. გაიხსენეთ დღევანდელი საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებაც თანამდებობაზე დანიშვნის წინ. იმ აურზაურში, როდესაც ალასანიას გადადგომის გადაფარვა იყო დაგეგმილი, დაბნეულობის რეჟიმში გამოდის საგარეო საქმეთა მინისტრი და ამბობს, რომ ყველა ელჩი გადაყენებულია. მინისტრის შეცვლის გამო ასეთი განცხადების გაკეთება თავის მოჭრაა. მე მხოლოდ ორი ფაქტი დავისახელებთ, ასეთი ფაქტების გამო ხელისუფლების ავტორიტეტი კატასტროფული სიჩქარით მიეჩანება ქვევით. ვინც უცხოურ პრესას ადევნებთ თვალს, იცით, რაც იწვევება.

დავით არაბიძე, განათლების ეროვნული კავშირი – ბ-ნო დავით, თქვენ ამბობთ, რომ თქვენი ალიანსი საქართველოს მოქალაქეებისათვის ალტერნატივაა. რატომ ფიქრობთ ასე. შეცვლით შრომის კოდექსს და შემოიღებთ ფისკალურ დემოკრატიას? მაინტერესებს, მოუწოდებთ თუ არა კერძო სექტორში ან უცხოური კაპიტალით დაფინანსებულ სექტორში დასაქმებულ ადამიანებს გაფიცვისკენ?

დავით უსუფაშვილი – ამ საკითხებზე გვაქვს პოზიცია, დაინტერესებულ პირებს შემოგთავაზებთ ცალკე შევხვედეთ და ვისაუბროთ, იმიტომ რომ ძალიან სპეციფიური და კონკრეტული თემებია. ვეჭვობ, რომ ამ საკითხების გადაწყვეტის ის გზა შემოგთავაზოთ, რომელიც თქვენს კითხვაში იყო გააუღერებული, მაგრამ რა თქმა უნდა, თუ არის საუბარი პოლიტიკურ ალტერნატივაზე, ყველა მათგანზე უნდა გვქონდეს პასუხი. ჩვენ იმ პოლიტიკური ცხოვრების მომხრეები ვართ, როდესაც დებატები გაიმართება ასეთ თემებზე და არა ისეთ თემებზე, ვის მეტად უყვარს სამშობლო, ვინ არის შემჩნეული ცულ ქცევებში პირად ცხოვრებაში და ა.შ. ჩვენ არ ვართ საპროტესტო აქციების წინააღმდეგნი, ჩვენ გამოვდივართ ორგანიზებული საპროტესტო აქციების მომხრე. რაც შეეხება გაფიცვებთან დაკავშირებულ თქვენს კონკრეტულ შეკითხვას, ამაზეც ვიფიქრებთ. მოქალაქე გინდა უცხოურ ორგანიზაციაში მუშაობდეს, გინდა ქართულში, მოქალაქეა. გაფიცვები ჩვენ არ წარმოგვიდგენია საბოტაჟის მექანიზმად, გაფიცვას განვიხილავთ გამაფრთხილებელ აქციად, როდესაც მოქალაქეები ორგანიზებულად გამოდიან რალაცის სათქმელად.

შორენა შავერდაშვილი – ბ-ნა დავითმა გასული ხუთი წელი უნიკალური და უპრეცედენტო შანსის დაკარგვად შეაფასა, თქვენ როგორ აფასებთ, ბ-ნო გია გასულ ხუთ წელიწადს?

გია ნოღია – მე ვაფასებ ხუთ წელიწადს, რომელშიც იყო საკმაოდ სერიოზული მიღწევები, ჩემი აზრით, ეს მიღწევები ფარავს წარუმატებლობებს, თუმცა იყო ბევრი ცული და გასაკრიტიკებელიც.

– ბ-ნო გია, არჩევნებზე საუბრისას თქვით, რომ ოპოზიციის გარდა არავის უთქვამს, რომ ხელისუფლებამ წააგო და ოპოზიციამ მოიგო. თქვენ, ისევე როგორც ბ-ნი თემურ იაკობაშვილი, არჩევნების ერთ-ერთი ორგანიზატორი ბრძანდებოდით. შემდეგ ორივენი მინისტრებად დაინიშნეთ, რამაც ჩემი დაეჭვება გამოიწვია. ახლა, როდესაც უკვე აღარ ბრძანდებით მინისტრი, როგორ შეაფასებთ ამ არჩევნებს?

– ბ-ნო დავით, სააკაშვილის პროგრამაში მთავარი აქცენტები სოციალურ თემატიკაზე კეთდება. რა იქნება თქვენი ალიანსის მთავარი აქცენტები. რა იქნება თქვენი ხელისუფლებაში მოსვლის მთავარი არგუმენტი?

დავით უსუფაშვილი – როგორც ჩანს, ეს შეკითხვაც ცალკე შეხვედრის თემაა. მაგრამ მოკლედ ასე შემიძლია გიპასუხოთ. ჩვენი მთავარი გზავნილი ის არის, რომ დღეს ვქმნით მომავალს და საჭიროა ყოველდღიური შრომა. ყველა კონკრეტულ საკითხზე შეგვიძლია ცალკე შევიკრიბოთ და კონკრეტულად ვისაუბროთ.

სოფო ჭაავა, ჟურნალისტი – თქვენი ალიანსის შექმნის მთავარი იდეა არის თუ არა რეფერენდუმი და არის თუ არა შესაძლებელი, რომ თუ ზევ აღმოჩნდა, რომ ამ ულტიმატუმმა არ იმოქმედა, თქვენი გზები გაიყოს, ალასანიაშვილმა განაგრძოს გზა იმ 200 ათასი ხელმოწერის მოთხოვნით, თქვენ კი აღმოჩნდეთ აქციაზე და ა.შ.

დავით უსუფაშვილი – ალიანსის შექმნის პროცესში დაინტერესებულ წრეებში, პრესაში, პოლიტოლოგებში, უამრავი თემა ტრიალებდა. რაღას არ გვიქაძენენ, ამბობდნენ, რომ ეს ალიანსი არ შედგებოდა, და ა.შ. სამწუხაროდ, ასეთ ვითარებაში ვცხოვრობთ. ეს არ არის მხოლოდ არაკვალიფიციურობის ბრალი. აქ აშკარად შეინიშნებოდა ამ პროცესების მართვის უხილავი ხელი. ის ფაქტი, რომ ალიანსის შექმნა ეტაპობრივად მიმდინარეობდა, გამოწვეული იყო სწორედ ამ თემებზე ხანგრძლივი და სერიოზული საუბრებით. შემოიძლია ვითხრათ, რომ ალიანსი შექმნილია მინიმუმ 4-5 წლიანი პერსპექტივით. იმ შემთხვევაშიც, მოვიპოვებთ წარმატებას და ვიქნებით ხელისუფლებაში, თუ ვერა.

გოგი გვახარია – არჩევნებში ერთი ბლოკით გამოხვალთ, ბ-ნო დავით?

დავით უსუფაშვილი – დიახ.

გოგი გვახარია – „ახალი მემარჯვენეები“ აღარ საუბრობენ მონარქიაზე?

დავით უსუფაშვილი – ალიანსი, როგორც მოგახსენეთ, 4-5 წლიანი ვადით არის შექმნილი და ეს არის ჩვენი ხედვა. ეს არ არის დამოკიდებული კონკრეტულ ვითარებაზე, იმაზე, დაინიშნება თუ არა რეფერენდუმი, რა მოხდება 9 აპრილს და ა.შ. ჩვენი მისია ის არის, 2009 წელს ხელი შევუწყოთ არსებული ხელისუფლების უკეთესით შეცვლას. ამასობაში, ზოგი სხვა პოლიტიკოსის თუ საზოგადო მოღვაწისგან განსხვავებით, ჩვენ არ ვსვამთ საკითხს ასე, რომ 2009 წლის 31 მაისამდე თუ სააკაშვილი არ გადადგა, მაშინ ჩვენ გადავდგებით ან ბიზნესში წავალთ და უცხოეთში გავემგზავრებით. არსად წასვლას არ ვაპირებთ, ყოველ ცისმარე დღეს კონკრეტულ ვითარებაში, რის გაკეთებასაც ჩავთვლით საჭიროდ და რისი გაკეთებაც იქნება შესაძლებელი, იმას გავაკეთებთ. ალიანსის 4-5 წლიანი ვადა უკავშირდება 4 წლიან საპარლამენტო ვადას და 5 წლიანი – საპრეზიდენტოს. 2009 წელს თუ არის ორივე არჩევნები, ჩათვალეთ, რომ 4-5 წლის შემდეგ უნდა გამართოს შემდეგი არჩევნები. ძალიან ბევრი რამ ჩვენს ხედვებში სწორედ ამ ციკლს უკავშირდება. კარგი იქნება, საქართველოში გამოჩნდეს ხელისუფალი, რომელიც თვითონ შეუწყობს ხელს ვადის ამოწურვის შემდეგ მშვიდობიანად და წყნარად წასვლის პრეცედენტის შექმნას.

რაც შეეხება მონარქიის თემას, საკითხი იმის შესახებ, მონარქია უნდა იყოს თუ საპარლამენტო რესპუბლიკა, ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს. „რესპუბლიკელებს“, 1993 წლის დეკემბრიდან მოყოლებული, უჯრაში გვიდევს საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე აწყობილი კონსტიტუციის პროექტი. ეს პროექტი უჯრაში დარჩება და ოდესმე არქივს გადაეცემა იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებაში არ მოვედით. დღევანდელ ვითარებაში ალიანსისთვის ხმის მიცემით თქვენ არ წყვეტთ მონარქიის, რესპუბლიკის, საპრეზიდენტო და ასეთ საკითხებს. ეს საკითხები უნდა გადაწყდეს კონსტიტუციური ცვლილების გზით. როგორი კონსტიტუციური სისტემა უნდა არსებობდეს ქვეყანაში, მონარქიული თუ საპარლამენტო, მგონი, ეს ის ფუნდამენტური საკითხია, რომელიც რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყდეს, რომ მერე ამ სისტემას დაეფუძნოს ის ცვლილებები, რომლებსაც პარლამენტი მიიღებს. ამიტომ, ჩვენი ვარაუდით, ამ თემაზე, ხელისუფლებაში მოსვლიდან ძალიან მალე უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი, რათა შემდგომმა ხელისუფლებამ შეასრულოს ეს ფუნქცია და გამართოს კონსტიტუცია, რომ მომდევნო საარჩევნო ციკლი დაიწყოს იმ სისტემაში, რომელიც ხალხის მიერ იქნება ხელდასმული. ეს შემდგომში განსაზღვრული საკითხებია.

შორენა შავერდაშვილი – თქვენ ამბობთ, რომ ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში ჩვენი პირველი გადასატარებელი ამოცანა უნდა იყოს, მონარქია გვინდა თუ რესპუბლიკა?

დავით უსუფაშვილი – არა, მე ეს არ მითქვამს. ჩვენ გვაქვს სამ ეტაპად გაყოფილი საკონსტიტუციო რეფორმა. ხელისუფლებაში მოსასვლელად არსებულ კონსტიტუციას უნდა გაჰყვე. ანუ, „რესპუბლიკელებს“ რომ პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები არ მოგვწონს და გვინდა, რომ აღარ იყოს, არ ნიშნავს იმას, დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობა არ მივიღოთ. მაშინ ვერასოდეს მიხვალ იქამდე, რომ ამ საკითხს ხელი მოკიდო. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ჩვენი პირველი კამპანია იქნება სწორედ სამეტაპიან საკონსტიტუციო რეფორმაზე კამპანია. პირველი ეტაპია პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის ბალანსის დამყარება. ეს ბალანსი პირველ ეტაპზე არის ჰორიზონტალზე – პარლამენტი, მთავრობა, პრეზიდენტი, სასამართლო ხელისუფლება. მეორე ეტაპია ვერტიკალური, რეგიონულ სამხარეო მმართველობაზე გადასვლას, რეგიონებში არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოების გაჩენას გულისხმობს. რეგიონებში აღმასრულებელ სისტემაში ძირითადად ადგილობრივი არჩევითი ორგანოს წინაშე პასუხისმგებელი პირის გაჩენას, რომელსაც ცენტრიდან ექნება გარკვეული ბერკეტი და პასუხისმგებლობა, თვითმმართველობის პირველი დონის გაჩენას და მათ შორის უფლებამოსილების გამიჯვნას. დღეს სააკაშვილი იმიტომ კი არ არის უგვირგვინო მეფე, რომ პარლამენტი არ ჰყავს, იმიტომ არის, რომ სხვა არავინ არის მის ქვემოთ. მესამე ეტაპია კონსტიტუციური მონარქიისა და ასეთი საკითხები. მონარქული ვიქნები, თუ ჩვენს ქვეყანაში ამ თემებზე დისკუსიები გაიმართება და ის იქნება მთავარი განსახილველი საკითხი, მონარქიისა და რესპუბლიკის მომხრეები რატომ და როგორ არიან ერთად.

დავით პაიჭაძე, ჟურნალისტი – რამდენიმე დღის წინ ჩემს გადაცემაში სტუმრად მყოფმა ბ-ნმა დავით ზურაბიშვილმა თქვა, რომ არ უშვებს იმას, რომ უახლოეს მომავალში ხელისუფლება არ წავა. ჩემი აზრით, პოლიტიკოსმა უნდა გათვალოს და დაუშვას სხვა ვარიანტებიც. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ და მისი გადადგომის სასარგებლოდ თქვენი არგუმენტები უკმარია და ისინი არ სწვდება იმ პერიოდს და ვითარებას, თუ ხელისუფლება უარს იტყვის წასვლაზე. როგორ ფიქრობთ, კიდევ რაში შეიძლება ხელისუფლების კრიტიკა და რატომ არ ამხელთ, თუკი არსებობს სხვა არგუმენტებიც. რატომ არ ამზადებთ საზოგადოებას სხვაგვარი საბუთებისთვის, მსჯელობისთვის, რომელიც შეიძლება თქვენ გამოგადგეთ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება არ დაემორჩილება იმ ზეწოლას, რომელსაც მას ახლო მომავალში პირდებით.

ბ-ნ გია ნოდისაც მინდა მივმართო. გასაგებია, რომ ხელისუფლება ზოგი შეფასებით ფრთხილი, ზოგითაც, შეშინებული და ძალაგამოცლილია, მაგრამ შედეგი ერთია. ჩვენ ვხედავთ, რომ რეფორმები ბევრ სფეროში დაძუწებულია და წინ არ იწევენ. ასეთ შემთხვევაში ლოგიკურად ჩნდება კითხვა, რად გვინდა ხელისუფლება, რომელიც ვერ ასრულებს შეპირებულ რეფორმებს. ამ კუთხით თუ შევხედავთ, რატომაც არ უნდა ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები. ოპოზიციიდან რეფორმების შეჩერების გამო კრიტიკა არ გვესმის.

დავით უსუფაშვილი – ცოტა ხნის წინაც მოგახსენეთ, იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება არ წავა, ჩვენი ალიანსი აპირებს ბრძოლისა და შრომის გაგრძელებას. მე ამაზე მკაფიო პასუხი მაქვს. ამასთან, ვაღიარებ ვარ, რაღაც თემების მიმართ მქონდეს ჩემი პოზიცია და აზრი, მქონდეს მომავლის მონახაზი და პროგნოზი. შარშან 22 მაისსაც ვთქვი და სამწუხაროდ, გამართლდა. ვამბობდი, რომ რაც მაშინ საპარლამენტო არჩევნებზე ხელისუფლებამ ჩაიდინა, როდესაც ბევრი ბერკეტით მიაღწია სანუკვარ მიზანს – 4/5-ის მიღებას პარლამენტში, ამას დაემატა საპრეზიდენტო არჩევნებიც, განაპირობებდა მისი მხრიდან ისეთი შეცდომების დაშვებას, რომელიც ქვეყანას 2009 წლისთვის ახალ საარჩევნო

ვითარებამდე მიიყვანდა. სამწუხაროდ, მართლაც ასე ხდება. დღესაც ვალდებული ვარ ვთქვა, რომ ხელისუფლება რაც შეიძლება მალე მშვიდობიანად არის წასასვლელი. თუ არ წავა, ჩვენ გვიცხოვრია სხვა ხელისუფლებების პირობებშიც, რომლებიც არ წასულან, მაგრამ მერე საბოლოოდ ცუდად წასულან.

მეორე საკითხი, თუ რატომ არ ვამხელთ ხელისუფლებას რაიმე დამატებითი არგუმენტებით. დიდი მადლობა რჩევისთვის, როგორც ჩანს, მეტად უნდა ვამხილოთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საქართველოში პოლიტიკური საკითხები აყვანილია ისეთ სტანდარტამდე, როგორც არის მჯერა-არ მჯერა. იმიტომ რომ დღეს მე კიდევ მხვდება ხალხი, რომელიც ამბობს, რომ ვერ ექნებათ პოზიცია გირგვლიანის საქმეზე, რადგან არ იციან საქმის დეტალები. როდესაც ადამიანებს ასეთ მკაფიო თემაზე არ სურთ არგუმენტების დაჯერება, მას რაც უნდა დამატებითი არგუმენტი მოუტანო, მაინც არ დაიჯერებს. 97%-დან 53%-მდე ჩამოსვლა იმაზე მეტყველებს, რომ ნახევარმა საქართველომ დაინახა ხელისუფლების შეცდომები და არსებული პრობლემები. მაგრამ საქართველოში ყოველთვის იქნება ხალხი, რომელიც ბევრ რამეს არ დაიჯერებს. ყოველთვის მოიძებნებიან ისეთებიც, რომლებიც შეეცდებიან არსებულ ხელისუფლებასთან ბოლომდე გამოძებნონ საკუთარი ადგილი და ბოლო მომენტში სხვაგან გადახტნენ და მაშინ დაიჯერონ არგუმენტებიც და ფაქტებიც. ასეთ ადამიანებთან პაექრობაში დროის დაკარგვა არ ღირს. თუ სიტყვა „რეფორმა“ დეფიციტია ჩვენს რიტორიკაში, ამ შენიშვნასაც გავიზარებთ და ხშირად ვისაუბრებთ იმაზე, რომ რეფორმა არ გატარდა სასამართლო სისტემაში, მასმედიის თავისუფლების საკითხში, საარჩევნო საკითხებში. დღემდე არ გვაქვს ისეთი პირადობის მოწმობა, რომლითაც შესაძლებელი არ იქნება გაყალბება, ამ პატარა ბარათის დაბეჭდვა ხელისუფლებამ ხუთი წლის განმავლობაში იმიტომ ვერ მოახერხა, რომ თუ მასში მაგნიტური ლენტი მოთავსდება, კარგად დავითვლებით და გაყალბების საშუალება აღარ იქნება. არ გატარებულა რეფორმები არც ეკონომიკის, სოციალურ და ჯანდაცვის სფეროებში. მიუხედავად ჩემი მწვავე დამოკიდებულებისა ბ-ნ ბენდუქიძის მიმართ, ამ ადამიანის გარდა ხელისუფლებაში ვერ ვნახე ვერავინ, ვისაც რაიმე აზრი ექნებოდა რეფორმებზე. იქნებ, ბ-ნმა გაიმ გვიპასუხოს, როგორ გატარდა რეფორმები განათლების სისტემაში. როდესაც იგი დაინიშნა განათლების მინისტრად, თავად აკრიტიკებდა რეფორმას ამ სისტემაში.

– ბ-ნო დავით, თქვენ ისაუბრეთ პრობლემებზე, ჩამოთვალეთ სფეროები, სადაც არ გატარებულა რეფორმები. მაინტერესებს, თუ გაკეთდა რაიმე დადებითიც.

დავით უსუფაშვილი – ბევრი კარგიც გაკეთდა და იმედი მაქვს, ამ კარგის გადარჩენას შევძლებთ და სააკაშვილის წასვლას არ მოჰყვება ამ კარგის გაფუჭება. იმედი მაქვს, რომ ქვეყანაში დარჩება იმის შესაძლებლობა, რომ გორამდე მიყვანილი გზა ფოთამდე ჩავიდეს და სააკაშვილის წასვლასთან ერთად არ დასრულდება მისი კეთება. საპატრულო პოლიციის საკითხშიც, ყველანი ვხედავთ, რომ ბევრი რამ გაკეთდა. იქ, სადაც იყო მონღოლება, იყო სერიოზული წინსვლა. უნდა აღვნიშნო უმაღლეს სასწავლებლებში კორუფციასთან სერიოზული ბრძოლა. ეს მართლაც მნიშვნელოვანი პროგრესია, თუმცა მას მოჰყვა ბრძოლა ბევრ სხვა რამესთან და დღეს საერთოდ გვაქვს თუ არა უმაღლესი განათლების სისტემა, აღარც კი ვიცი. იყო სერიოზული წინსვლა მიმართულების დანახვის თვალსაზრისით. მაგალითად, გადაიდგა ნაბიჯები საიმისოდ, რომ სახელმწიფომ მუდმივად არ ათრიოს საპენსიო ტვირთი, მაგრამ მერე შეჩერდა და ახლა ეს ყველაფერი საბიუჯეტო ტვირთად არის ქცეული. ბევრი რამ მოწესრიგდა საჯარო რეესტრში, ბევრი რამ აღირიცხა, თუმცა ყველა პრობლემა არც იქ მოგვარებულა. ბევრი სხვა რამეც გაკეთდა, საგარეო ასპარეზზე საქართველოს საქმე გავიდა. საქართველო იქცა ინტერესის სფეროდ და ადგილად, მაგრამ გაკეთებულზე ათჯერ მეტი გაფუჭდა და ამ გაკეთებულსაც წყალი აქვს შეყენებული. საგადასახადო სისტემა

უკეთესი გახდა, მაგრამ ამის პარალელურად დამკვიდრდა და აყვავდა არაფორმალური გადასახადების სისტემა. ის, რომ არაფერი გაკეთებულა, შეიძლება მხოლოდ ამ ქვეყნის მტერმა თქვას.

ნინო ბეჭიშვილი, ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“ – ჩვენ ყველანი, შეიძლება ითქვას, შიშით ველოდებით 9 აპრილის მოსვლას და საპროტესტო ტალღის აგორებას. 2007 წლის ნოემბერში ბევრი ისეთი ფაქტორი იყო, რომელიც დღეს აღარ არის. ხალხიც უფრო გაბრაზებული იყო, ოპოზიციასაც გაცილებით დიდი ბერკეტი ჰქონდა „იმედისა“ და ბადრი პატარკაციშვილის თანხის სახით. იყო ირაკლი ოქრუაშვილიც, რომლის სატელევიზიო გამოსვლების შემდეგ ტემპერატურა საგრძნობლად მატულობდა. ახლა თითქოს ასეთი აღარაფერი ხდება. როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია ასეთ პირობებში სერიოზული საპროტესტო ტალღის აგორება.

დავით უსუფაშვილი – პოლიტიკური პროცესების აპოკალიფსური დღის გამოცხადებად, გაბრწყინებად ან დაბნელებად დანახვა, არა მგონია, სწორი იყოს. არა იმიტომ რომ ხალხის უკმაყოფილების დონე ნაკლებია ადრინდელთან შედარებით. სიცხარის შეტანის, თუ პოლიტიკურ კერძზეა საუბარი, ათასერთი რეცეპტი აქვს ოპოზიციას. ეს არ არის პრობლემა. მაგრამ ამან სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს, ეს არის საქმე. ბევრი რამ შეიძლება მოიძებნოს, რაც ხალხს ენთუზიაზმს შესძენს, მაგრამ ამით რისი მიღწევა შეიძლება დღევანდელ ვითარებაში, ეს არის მთავარი. არა მგონია, რომ საზოგადოების მობილიზების პოტენციალი 7 ნოემბერთან ან 2008 წლის სექტემბერთან შედარებით დღეს ნაკლები იყოს. კვლევების მიხედვით, 4-5-ჯერ არის გაზრდილი იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომელიც მზად არის საპროტესტო აქციებს შეუერთდეს და ეს ნიშნული ნოემბრის მობილიზების რაოდენობას უტოლდება. საპროტესტოდ განწყობილი 100 და 200 ათასი კაცი ქვეყანაში სათანადო მართვით ყოველთვის მოიძებნება. მაგრამ არ ვიცი, რამდენად მართვადი იქნება ეს ყველაფერი. მე არ ვარ 9 აპრილის აქციის ორგანიზატორი, შესაძლოა ვიყო აქციის მონაწილე, ისიც იმ შემთხვევაში, თუ დავდგები მძიმე არჩევანის წინაშე. ვფიქრობ, ნებისმიერ შემთხვევაში, საფრთხეები აცილებული იქნება.

რაც შეეხება ბადრი პატარკაციშვილის ფენომენს, შემიძლია გითხრათ, რომ მნიშვნელოვანი იყო შარშან 8 ნოემბრამდე, მაგრამ მას შემდეგ, რაც მან თავად გადაწყვიტა პოლიტიკური აქტიურობა, მისი ფინანსური წვლილი გაერთიანებულ ოპოზიციურ საქმიანობაში მე არ მინახავს. ფინანსური რესურსი დღეს პრობლემაა. ბიზნესწრეების სერიოზული ნაწილი უკიდურესად შეშფოთებულია, მაგრამ არა იმდენად, რომ დაფინანსების საკითხზე ისაუბროს. შემიძლია გითხრათ, რომ ბევრ ახლადშექმნილ პარტიას რაც უჯდება საქმიანობა ერთ დღეს, „რესპუბლიკურ პარტიას“ ეს უჯდება ერთი თვე, იმიტომ რომ ჩვენი სტრუქტურა მთლიანად მოხალისეობრივ საწყისებზეა აწყობილი და ოფისში სულ 5-6 ხელფასიანი თანამშრომელი გვყავს. გეთანხმებით, რამდენიმედღიან აქციას და 100 ათასი კაცის გადაადგილებას და კვებას ფინანსები სჭირდება და ამ წუთში ამ რესურსს ვერ ვხედავ.

გოგი გვახარია – დასასრულს ბ-ნ გიას მივცეთ საშუალება უპასუხოს შეკითხვებს.

გია ნოდია – ის, რომ მინისტრობის პერიოდში პირველი ორი კვირა თავად ვაკრიტიკებდი რეფორმებს, სიმართლეს არ შეესაბამება. ერთადერთი, გულწრფელად ვაკრიტიკებდი ლოტოტრონს. თუმცა, გამუდმებით ვიმეორებდი, რომ სამინისტროში ჩემი მოსვლის მიზანი რეფორმის გაგრძელება იქნებოდა. აქვე დავეთანხმები ბ-ნ დავითს, რომ წინასაარჩევნოდ მართლაც იყო პოპულისტური ზეწოლის შემთხვევები განათლების სისტემაზე.

როგორც ანალიტიკოსი, შესაძლოა, შევუერთდე კრიტიკას, რომ შემცირდა რეფორმის ტემპი. მაგრამ საკითხის ასე დასმას, რომ თუ ხელისუფლება ვერ ასრულებს რეფორმებს, რა საჭიროა მისი ხელისუფლებაში ყოფნა, ორი პასუხი ექნება. ერთი ის, რომ მართალია, შემცირდა რეფორმების ტემპი, მაგრამ რაღაც რეფორმები მაინც მიმდინარეობს, და მეორე არგუმენტი ის იქნება, რომ ამ ხელისუფლებას ამ რეფორმების კონსოლიდაცია მაინც შეუძლია, ხოლო ოპოზიციის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში რეფორმების შექცევაა მოსალოდნელი. და ზოგადი დასკვნა – დავრწმუნდი, რომ ბ-ნ დავით უსუფაშვილს გულწრფელად არ მოსწონს ეს ხელისუფლება და ძალიან უნდა დაარწმუნოს პრეზიდენტი სააკაშვილი, დანიშნოს რეფერენდუმი, მაგრამ იმაშიც დავრწმუნდი, რომ ამ ალიანსს ნათელი სტრატეგია ამ მიზნის მისაღწევად არა აქვს.

გოგი გვაზარია – დიდი მადლობა, დისკუსია დასრულებულია.